DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

NYU | ISAW

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Noneshvili, A / ნონეშვილი, ა. / Нонешвили, А.И.
- Title: ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში / Кувшанние погребения в закабкасье
- Publication Date: 1983
- Publisher: Georgian National Museum, Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_d70f442a42

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

ა. ნონეშვილი

# ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში

1983

IVE
4438

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს საისტორიო საზოგადოება
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ა. ნონეშვილი

20611

# ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში
/მასალები არქეოლოგიური რუკისათვის/

გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო"
თ ბ ი ლ ი ს ი
1983

63. 4/24/
902.6/47.922/

6 851

ნაშრომი წარმოადგენს ამიერკავკასიაში გავრცელებული ქვევრსამარხთა არქეოლოგიური კულტურის /ძვ.წ. VIII – ახ.წ. VIII ს.ს./ სრული სურათის დახასიათების ცდას. შეკრებილი და სისტემატიზებულია ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში აღმოჩენილი შესაბამისი მასალები, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს აღნიშნული არქეოლოგიური კულტურის გავრცელების რუკების შედგენას სომხეთისათვის და მნიშვნელოვნად შეავსებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის შესაბამის რუკებს.

ნაშრომი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრსამარხების, როგორც ამ რეგიონში ძვ.წ. VIII-ახ.წ. VIII სს. მოსახლე ტომების მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის ერთ-ერთი ეფექტური წყაროა. ნაშრომი ცდაა ამიერკავკასიის ქვევრსამარხების კულტურის დახასიათებისა.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ქვევრსამარხები უძველესი დროიდან ადრე შუასაუკუნეებამდე არსებობდა და ამიერკავკასიის თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავდა. ქვევრსამარხთა აღმოჩენა ისე გახშირდა, რომ ამ რეგიონში ქვევრსამარხთა კულტურის კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა და, ბუნებრივია, მას არა ერთი გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც, შესაბამის სპეციალურ ლიტერატურაში ასახულია უმთავრესად აზერბაიჯანსა და საქართველოში აღმოჩენილი მასალები. სომხეთის ქვევრსამარხთა დიდი ჯგუფი კი, როგორც წესი, დღემდე მთელი სისრულით არ ყოფილა ასახულ-გათვალისწინებული; ე.ი. დღემდე არ არის ამიერკავკასიის ქვევრსამარხთა კულტურის სრული სურათი მთელი სივრცე-სიღრმით დახასიათებული. საქართველოსა და აზერბაიჯანის მასალებთან ერთად სომხეთის შესაბამისი არქეოლოგიური ფაქტების გათვალისწინება და შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ამიერკავკასიის ქვევრსამარხთა კულტურის კვლევისას მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია აღნიშნული ხარვეზის შევსება, ამიერკავკასიის ქვევრსამარხთა სრული სურათის შეძლებისდაგვარად ასახვა, რისთვისაც შევეცადეთ შეგვეგროვებინა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში მოპოვებული შესაბამისი მასალები.

ქვევრსამარხებში იგულისხმება ინჰუმაცია, რომლის დროსაც მიცვალებულის გვამი მთლიანად თავსდებოდა თიხის სხვადასხვა ფორმის მოზრდილ ჭურჭელში და ისე იფლებოდა მიწაში გათხრილ ორმოში.

უძველესი ქვევრსამარხები ჩვენ ქვეყანაში აღმოჩენილია დაღესტანში. სამარხები ძვ.წ. II ათასწლეულით არის დათარიღებული[1]; ძვ.წ. V-IV სს. ქვევრსამარხები გაითხარა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიებში: ოლვიაში[2], ქერჩში[3], ხერსონესში[4], პანტიკაპეონში[5]. გასული საუკუნის შუა ხანებში, ყირიმში, ბალაკლავასთან აღმოჩნდა სამარხად გამოყენებული მოზრდილი ამფორები, რომლებიც მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩალაგებული[6]. დნეპრისპირეთში, სოფ. გრუშევკასთან გათხრილ ყორღანში, მოზრდილი მიცვალებულის გვერდით აღმოჩნდა თიხის დერგი, რომელშიც მყირეწოლვანი ბავშვი იყო დაკრძალული[7].

## ქვევრსამარხები საქართველოში

საქართველოში მიცვალებულის სამეურნეო დანიშნულების თიხის მოზრდილ ჭურჭელში დაკრძალვის წესი 84 პუნქტშია დადასტურებული: ფარცხანაყანევში, დაფნარში, ბორში, ბანძაში, მარათში, ძევრში, ნიფნარში, დი-

---

I. М.Г.Гаджиев. О погребальном обряде племен горного Дагестана в бронзовом веке. Ученые записки Дагестанского филиала АН СССР, Ин-ут истории языка и литературы, т.XШ, Махачкала,1964,с.283.
2. Ж.Д.Хачатрян. Гарни У., Ереван, 1976, с. 25-26.
3. ИАК, вып. 35, с.23, № 46, 48.
4. Г.Д.Белов. Некрополь Херсонеса классической эпохи, СА, XШ,1950, с. 275, рис. 3.
5. Е.Г.Кастанян. Грунтовые некрополи боспорских городов УI-IУ вв. до н.э. и местные их особенности, МИА СССР,69,1959,с.285.
6. Б.А.Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т.II, Тб.,1950,с.76.
7. ИАК, вып. 4, 1902, с. 38.

დივანში, ზენობანში, ქვემოხეთში, ბუკისციხეში, ჩიბათში, გოგორეთში, დაბლაგომში, მუხიანში, მაღლაკში, მესხეთში, ოდილაურში, უკანეთში, ქვიტირში, საჯავახოში, მთისძირში, ცხესულორში, ბზვანში, ზემოფარცხმაში, ნოქალაქევში, ქუთაისში, ცაისში, ტყელვანში, ბანოჯაში, ბათუმში, ქობულეთ-ფიჭვნარში, ისულაში, ახალსოფელში, ნოსირში, ცაგერში, ქვედა მესხეთში, ჩხოროწყუში, ისულაში, ბატნათხორუში, ლანჩხუთში, ძირულაში, წყალტუბოში, გოლოგანში, ნიკორზლევაში, ჩხარში, ამბროლაურში, ჭოგნარში, სურებში, რეხის ტყის მიდამოებში, ვანში, მცხეთა-სამთავროში, მთაქართლზე, კარსნისხევში, თბილისში, დიღომში, ურბნისში, არაგვისპირში, არკნეთში, ზემო მონასტერში, ზემო აჭარაში, კავთისხევში, ჩოჩეთში, ღრმაღელეში, უჯარმაში, ხაშმში, სანიორეში, წითელწყაროში, ნაფარეულში, საგარეჯოში, თელავში, მაჩხაანში, მუკუზანში, თეთრ წყაროში, ძეგვში, შალაურში, აჯამეთში, მაჩხაურში, არხილოსკალოში, უფლისციხეში, ცხინვალში, ნასტაკისის ველზე, სადაც 500-ზე მეტი ქვევრსამარხია აღმოჩენილი. ცხადია, ისინი არატოლფასოვნად არიან შესწავლილი. მაგალითად: ფარცხანაყანევში, დაფნარში, დაბლაგომში, ზემოფარცხმაში, ნოქალაქევში, სამთავროში, კავთისხევში, ურბნისში, არკნეთში, ნასტაკისის ველზე, რეხის ტყეში და სხვ. სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ქვევრსამარხთა შემცველი სამაროვნები თუ ცალკეული ქვევრსამარხები არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ არის შესწავლილი. დანარჩენ პუნქტებში თითო-ოროლა სამარხია შემთხვევით აღმოჩენილი.

რამდენიმე აღმოჩენის შესახებ /ბზვანი, ბანოჯა, ლანჩხუთი, ძირულა, სურები, კორი, ჩოჩეთი, ღრმაღელე, ხაშმი, ნაფარეული, თელავი, მაჩხაანი, ძეგვი, აჯამეთი, ბათუმი, ფოთი/ მხოლოდ ზეპირი ინფორმაცია გაგვაჩნია.

ქვევრსამარხების აღმოჩენის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სამარხთა ეს სახეობა უპირატესად დასავლეთ საქართველოში ყოფილა გავრცელებული.

## ქვევრსამარხები დასავლეთ საქართველოში

ქვევრში მიცვალებულის დაკრძალვის წესი, მთიანი რაიონების გარდა, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ცნობილი.

პირველი ქვევრსამარხები აღმოჩენილია ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ქუთაისში /"ცაცხვებში"/ მშენებლობის დროს[8].

1923 წელს გეგეჭკორის რაიონში სოფ. ბანძასთან, მდ.აბაშის პირას, შემთხვევით აღმოაჩინეს აგურისფრად გამომწვარი, გვერდზე დაწვენილი, პირით აღმოსავლეთისაკენ მიმართული ქვევრი. ქვევრს ეტყობა მეურნეობაში გამოყენების კვალი. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა რკინის მახვილი, შუბისპირი, პირმეღრეკილი დანა, ვერცხლის თასი, სარტყლის ვერცხლის რგოლები, ტანსაცმლის ოქროს სამკაული. ანტონინე პიუსის ვერცხლის მონეტა /138-161 წწ./. სამარხი ქვევრის გვერდით მდგარა მოწითალოდ გამომწვარი თიხის ორყურა ჭურჭელი. პროფ. ს.მაკალათია სამარხს რომაელ მოლაშქრეს აკუთვნებს და ახ.წ. II საუკუნით ათარიღებს[9], ცხადია, ანტონინე პიუსის მონეტით.

1927 წელს სოფ. ბუკისციხეში, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილა ქვევრსამარხი. მხოლოდ ერთი მუქ ნაცრისფრად გამომწვარი დოქი გადარჩა[10]. იმავე სოფელში 1958 წელს აღმოჩნდა ერთი ქვევრსამარხი. ამ

---

8. М.М.Иващенко. Материалы к изучению культуры Колхов. Материалы по истории Грузии и Кавказа. Вып.П, I94I, с.59, I82, I84-I86.
9. ს.მაკალათია. 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. სმმ, ტ.IV, თბ., 1928, გვ. 182; მისივე, საფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი. სმმ. ტ.XII თბ., 1944, გვ.218; რ.ფუთურიძე. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. მსკა II, თბ. 1959, გვ.54-60; ა.აფაქიძე. საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. თბ., 1956, გვ. 25.
10. რ.ვაშაკიძე. სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სდსძ. III, თბ., 1973, გვ. 84.

სამარხიდანაც შემორჩენილია ერთი ყავისფრად გამომწვარი თიხის ორყურა მათარისებური ჭურჭელი[11].

სოფ. დაბლაგომში, 1929 წელს დაზვერვითი გათხრები ჩაატარა აკადემიკოსმა ნ.ბერძენიშვილმა. მისი გადმოცემით, ნაციხვარის ბორცვზე,დას. ფერდობზე აღმოჩენილია დაზიანებული ქვევრსამარხები, რომლებიც შეიცავდა:

რკინის იარაღს – სატევარს, ცულს, შუბის პირს; ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხებს და სხვ.[12]

დაბლაგომის ძეგლების არქეოლოგიური კვლევა ს.მაკალათიამ 1933 წელს განაგრძო. მან გათხარა ნაციხვარის დასავლეთ ფერდობზე ერთი ქვევრსამარხი.

ქვევრი მიწაში შვეულად, თავდაყირა იყო ჩადგმული. ქვევრი შავზედაპირიანია, შემკული გეომეტრიული სახეებით. ქვევრის მხარზე გამოსახულია ჯვარი; სამარხში ნაპოვნია: ხელადა შავად გამომწვარი თიხისა, ბრინჯაოს სამაჯური, ფერადი მინის წვრილი მძივები – იოჯები და კოლხური თეთრი. ამ უკანასკნელის მიხედვით პროფ. ს.მაკალათია სამარხს ძვ.წ. III–II სს. ათარიღებს[13].

1936 წელს დაბლაგომში ფართო საველე სამუშაოებს აწარმოებდა არქეოლოგიური ექსპედიცია ნ.ბერძენიშვილისა და ბ.კუფტინის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ ივლის–ოქტომბერში ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ნაციხვარის მთის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე, აგრეთვე სოფ. ვოშიდან დაბლაგომში მიმავალ გზაზე თეთრი ღელის გაყოლებაზე და

---

11. ნ.ვაშაკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85.
12. Б.А.Куфтин. Материалы и археология Колхиды, т.П, Тб., 1950, с.I,36; Н.Хоштария. Древнее поселение в Даблагоми. Кандидатская диссертация. Тб., 1940, с.I; М.М.Иващенко. Кувшинные погребения Азербайджана и Грузии. Изв. АН Азерб. ССР, № I, 1947, с. 74.
13. ს.მაკალათია. არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლაგომში და ალაიანში. სმმ, ტ.XIB თბ., 1941, გვ. 84–86.

ნაციხვარის მთის მოპირდაპირე ნასაკირევის ბორცვის აღმოსავლეთ ფერდობზე გათხარა 35 ქვევრსამარხი[14].

1967 წელს ქუთაისის მუზეუმში შევიდა ნივთები, რომლებიც სოფ. დაბლაგომში აღმოჩენილ ქვევრსამარხიდან მომდინარეობდა: დოქი-მოვარდისფრო გამომწვარი თიხისა; დოქი - მოყვითალო-მოვარდისფრო გამომწვარი თიხისა; დოქი - მუქვარდისფრად გამომწვარი თიხისა, სამყურა; მძივები - 50 ცალი, პასტის, მინისა და სარდიონის. ზემოთ აღწერილი კომპლექსი ძვ.წ. IV-III სს. არის დათარიღებული[15].

დაბლაგომში ფართო საველე სამუშაოები 1970-1972 წწ. განახლდა, ნასაკირევისა და ნაციხვარის ფერდობებზე 25 ქვევრსამარხი გაითხარა.[16].

ამრიგად, დაბლაგომში 1929-1972 წწ. გათხრილი და შესწავლილია 65 ქვევრსამარხი.

ქვევრსამარხები დაბლაგომის სამაროვანზე, ერთმანეთისაგან დაშორებულ, ცალკეულ ჯგუფებად იყო განლაგებული. მიცვალებულთა დასაკრძალად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია , სამეურნეო დანიშნულების კოლხური ქვევრები[17].

დაბლაგომის სამაროვანზე დადასტურებულია სამარხად გამოყენებული ქვევრის ვერტიკალური /თავდაყირა ან პირით ზევით/ და ჰორიზონტალური მდებარეობა. ორ შემთხვევაში ქვევრსამარხის გვერდით, პირდაპირ მიწაში, თანადაკრძალულია მიცვალებული[18]. უპირატესად გვხვდება თავდა-

---

14. Б.А.Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т.II, с.I,IO,II,I6.
15. ლ.ჯიქია. ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში. ქუთაისის ისტ. ეთნ. მუზეუმის მასალები. თბ., 1971, გვ. 26-27.
16. ვ.თოლორდავა. არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში. ვანი II. თბ., 1976, გვ. 49 და შემდეგი; ვ.თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 7.
17. Б.А.Куфтин. Материалы ....... т.II, с. 78.
18. ვ.თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 8.

ყრია ჩადგმული სამარხი ქვევრები. როგორც უკვე აღინიშნა, სამარხად გამოიყენებოდა სამეურნეო დანიშნულების კოხური ქვევრები, ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, შავზედაპირიანი, შემკული გეომეტრიული სახეებით. ხშირ შემთხვევაში ქვევრებზე ყელ-მხარის არეში გამოწვამდე დატანილია ნიშნები. ზოგ შემთხვევაში დასაკრძალად გამოყენებულია დერგებიც[19]. რამდენიმე შემთხვევაში სამარხებთან დაფიქსირებულია კოცონის კვალი, აგრეთვე ალაპის ნაშთები[20]. მიცვალებულები იკრძალებოდა ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილ პოზაში[21].

დაბლაგომის ქვევრსამარხთა ინვენტარი შეიცავს თიხის ჭურჭელს, ლითონის სამკაულებს, მძივებსა და მძივსაკიდებს, მონეტებს; რამდენიმე შემთხვევაში დადასტურებულია რკინის იარაღი. კერამიკული ნაწარმი, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, მორგვზეა გამოყვანილი. ჭურჭელი ლეგად არის გამომწვარი, ხშირად ზედაპირგაპრიალებული, შემკულია მარტივი გეომეტრიული ორნამენტით. დოქები თიხის ჭურჭლის უმეტეს ნაწილს შეადგენენ. ხშირ შემთხვევაში თითოეულ სამარხში ორ-ორი ჭურჭელია ჩატანებული: დოქები – ძაბრისებრ პირიანია და პირფართო, მსხლისებრი მოყვანილობისა, სამტურა და ყურმილიანი; სასმისები – პირსწორი, კონუსური მოყვანილობისა, პირაკეცილი, ფეხიანი; ჯამები – ბრტყელძირიანი ან ქუსლიანი; მათარა; ორყურა ამფორისებრი ან კანთაროსისებრი ჭურჭელი; მცირეზომიური ამფორისკები[22]; ლითონის სამკაულები: ბრინჯაოს სამაჯურები დაბლაგომის ქვევრსამარხებში ყველაზე გავრცელებული სამკაულია. აღმოჩენილია – ღერო განივკვეთში მრგვალი, ბოლოებზე გველის სტილიზებული თავებით, რკალზე სამ-სამი პრიზმული ნაზარდით, ბოლოებზე და შუა ნაწილში დრაკონის თავებით, ოვალური ბურცობებით შემკული; ვრეხილ რკა-

---

19. Б.А.Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т.II, с.68–72.
20. Н.Хоштария. Древнее поселение в Даблагоми. Кандидатская диссертация. Тб., 1940, с.80.
21. Б.А.Куфтин. Указ.соч., с. 72.
22. Б.А.Куфтин. Указ.соч., с. 63–68 ; ვ. თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. გვ. 8–12.

ლიანი სამაჯურები – ბოლოებზე ცხოველის სტილიზებული გამოსახულებებით[23]. რკინის სამაჯურები იშვიათად გვხვდება, თანაც ყველა ძლიერ დაჟანგულია. ბრინჯაოს ბეჭდები ბოლოებგახსნილი, მრგვალი ან ოვალური ფარაკებით[24]; ბრინჯაოს საკისრე რგოლები: წვრილი,ბრტყელი გრეხილი მავთულისა და მრგვალი ღეროიანი[25]. სასაფეთქლე და საყურე რგოლები /ბრინჯაოს, ვერცხლის ან ოქროს განივკვეთში მრგვალი წვრილი მავთულისა/[26]; ბრინჯაოს ზარაკები; საკიდები – წარმოადგენს სფეროსებრივ ბრინჯაოს წყვილ ფუყე ბურთულებს[27]. ოქროს საკიდი – ნახევარმთვარისებრი ფორმის, მირჩილული პაწარა ყუნწით[28]. რკინის იარაღი – სატევრის ნატეხები, ორი ცული, სამი შუბისპირი და სასხლავი დანა[29]. მონეტები – ყველა კოლხური თეთრებია – ტრიობოლები[30]. ე.წ. ქარონისთვის განკუთვნილი მონეტების აღმოჩენას დაბლაგომში ბერძნულ წესჩვეულებას უკავშირებენ[31]. მრავლად არის მძივები და მძივსაკიდები; მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია მინის მძივები. იშვიათად გვხვდება სარდიონის, უფრო იშვიათად მოოქრული და მოვერცხლილი მძივები. მცირერიცხოვანია აგრეთვე პასტისა და მინისებრი პასტის მძივებიც. მინის მძივებს თვალედი მძივებიც მიეკუთვნება – სფეროსებრი ფორმის ლურჯ მძივზე თეთრი წრეებით გამოყვანილია 6 თვალაკი. მინის მძივსაკიდებს განეკუთვნება ცისფერი გამჭვირვალე – დელფინის, მწვანე და ლურჯი ამფორისკისა და ჭინჭილის თუ კონუსისებრი მძივსაკიდები[32].

---

23. Б.А.Куфтин. Материалы...... т.II, с.69-72.
24. Б.А.Куфтин. Указ.соч., с.44-45; მ.ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. I, თბ.,1969, გვ. 86-87. ვ.თოლორდავა. ვანი მეორე, გვ.37.
25. Б.А.Куфтин. Указ.соч., с. 45-46.
26. Б.А.Куфтин. Указ.соч., с. 46.
27. Б.А.Куфтин. Указ.соч., с.46-47, 50.
28. Б.А.Куфтин. Указ.соч., с.47.
29. Б.А.Куфтин. Указ.соч., с.36-37.
30. Б.А.Куфтин. Указ.соч., с.54-63.
31. М.П.Инадзе. Причерномоокие города древней Колхиды. Тб.,1968, с. 182.
32. Б.А.Куфтин. Указ.соч., с.50-54.

სამარხეული ინვენტარის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე დაბლაგომის ქვევრსამარხები ძვ.წ. IV ს. მიწურულით და ძვ.წ. III-II სს. მიჯნით არის დათარიღებული[33].

1934 წელს ქუთაისის მუზეუმში ჩაუბარებიათ სოფ. დაფნარში, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი ქვევრსამარხიდან მომდინარე ნივთები[34]. სოფ. დაფნარი, სამტრედიის რ-ნში მდებარეობს, რიონის მარცხენა ნაპირზე. სამარხში ნაპოვნია დოქი, ჯამი, მცირეაზიული წითელლაქიანი დოქის პირის ნატეხი; ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ბეჭედი – განივკვეთში ბრტყელი ფირფიტისა, ბოლოებგახსნილი, ფარაკზე ლომია გამოსახული. ბეჭედი ძვ.წ. IV ს. არის დათარიღებული[35]; ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი, მძივები – პასტის, მინისა და ქალცედონის[35].

მოგვიანებით დაფნარში კიდევ სამი ქვევრსამარხი აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს.

პირველი სამარხი პ.ცინცაძის ეზოში აღმოჩნდა. სამარხი ქვევრი ორმოში ვერტიკალურად, თავდაყირა იყო ჩადგმული. შავად გამომწვარი თიხის ქვევრი შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. სამარხში მიცვალებულის ძვლებთან ერთად წყვილი ბრინჯაოს სამაჯური უპოვიათ. სამარხ ქვევრზე დაყრდნობით კომპლექსი ძვ.წ. V-IV სს. არის დათარიღებული[37].

მეორე ქვევრსამარხიც იქვე აღმოჩნდა. თავდაყირა ჩადგმულ შავზედაპირიან ქვევრში ნაპოვნია: დოქის ნატეხები, შავლაქიანი კანთაროსი, სამი კოლხური თეთრი და ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხები. კომპლექსი ინვენტარზე დაყრდნობით ძვ.წ. III ს. არის დათარიღებული[38].

მესამე სამარხიც იმავე ეზოში აღმოჩნდა. სამარხი ქვევრი ორმო-

---

33. ვ.თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 14.
34. ლ.ჯიქია. ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში. ქუთაისის ისტ.ეთნ. მუზეუმის მასალები. თბ., 1971, გვ. 23.
35. ნ.კილურაძე. ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის ანტიკურ ხანაში /დაფნარის ნასოფლარი და სამაროვანი ძვ.წ. V-III სს./. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972, გვ. 70-71; შ.ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპ., თბ., 1969, გვ. 8.
36. ლ.ჯიქია. დასახ. ნაშრ., გვ. 23; ოთ.ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966, გვ. 134.
37. ნ.კილურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 82-83.
38. ნ.კილურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 83-85.

ში თავდაყირა იყო ჩადგმული. ქვევრს ზედაპირი შავი აქვს, რელიეფური ქედებით შემკული. სამარხში აღმოჩნდა: დოქი, შავად გაპრიალებული ქილა; ყავისფერლაქიანი სკიფოსი; ქვევრის გარეთ იდო ორყურა ამფორა და რკინის საწევარი[39].

1967 წლიდან 1973 წლამდე დაფნარში სისტემატურ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის დაფნარის რაზმი. სამაროვანზე 40-მდე ქვევრსამარხი გაითხარა[40].

სამარხები ძირითადად ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ განლაგებული. მოზრდილები ჩვეულებრივ საშუალო ქვევრებში იკრძალებოდნენ, ბავშვები კი – დერგებში, ჩაფებში და ამფორებში[41]. სამარხი ქვევრები ორმოში თავდაყირა იდგმებოდა; მაგრამ არის შემთხვევები სამარხი ქვევრის ორმოში გვერდზე ჩაწვენისა /აღმოჩენილია 5 ასეთი სამარხი/. გვერდზე დაწვენილი ქვევრები პირით დასავლეთისაკენ არის მიმართული და სიგრძეზე გახერხილია. ორ სამარხ ქვევრს ფსკერზე დატანილი აქვს მრგვალი ნახვრეტები[42].

მიცვალებულები ქვევრებში ხელფეხმოკეცილ პოზაში, ქალები მარცხენა, მამაკაცები მარჯვენა გვერდზე იკრძალებოდნენ[43]. ქვევრსამარხებში, ორი წყვილადი სამარხის გარდა, თითო მიცვალებული იყო ჩასვენებული. ხშირად ქვევრს გასამაგრებლად რიყის ქვები აქვს შემოწყობილი. ოთხი სამარხი მიწის ზედაპირზე სალესი ქვებით იყო აღნიშნული, რამდენიმე სალესი ქვა შუაში გადატეხილი[44].

დაფნარის ქვევრსამარხების ინვენტარი სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: თიხის ჭურჭელი, ლითონის სამკაულები, მონეტები. თიხის ჭურჭელი თითქმის ყველა სამარხშია დადასტურებული. ჭურჭელი მიცვალებულის თავთან ან ზურგს უკან იდგმებოდა. უმეტესი ნაწილი

---

39. ნ.კიღურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 85-86.
40. Н.Кигурадзе. Дапнарский могильник. Тб., 1976, с.I4
4I. Н.Кигурадзе, Указ. соч., с.I4, 4I.
42. Н.Кигурадзе. Указ. соч., с.42.
43. Н.Кигурадзе. Указ. соч., с.43.
44. Н.Кигурадзе. Указ. соч., с.4I-42.

ჩარხის საშუალებით არის დამზადებული[45].

სამარხი ქვევრები – შავად გამომწვარი თიხისა, მხრები ოდნავ განზიდული აქვთ, მუცელი ფართო, შემკული მდიდრული გეომეტრიული ორნამენტით. სამარხი ქვევრების მეორე, შედარებით გვიანდელი /ელინისტური/ ხანის ჯგუფი ხასიათდება შედარებით მაღალი და გადმოშლილი ყელ-პირით, მუცელი კვერცხისებური აქვთ, ძირები დაქანებული. ზოგიერთ ქვევრზე გამოწვამდე მხარის არეში დატანილია ნიშნები[46]. დოქები: აღმოჩენილია – პირფართო, ყურმილიანი საღვინე [ოინოხოას მოყვანილობისა], ძაბრისებრ პირიანი და მრგვალპირიანი დოქები. ჯამები: სულ ორი ცალი აღმოჩნდა: ერთი მათგანი მრგვალპირიანია, მიდა მხარეს ჩაზნექილი, ოვალური ფერდებით, ბრტყელი ძირით; მეორე იმეორებს წინა ჯამის ფორმას, მხოლოდ მას ბორბლისებრი ქუსლი აქვს. ქოთნები აღმოჩენილია – პირფართო, ყურიანები, ბრტყელძირა. აგრეთვე გვხვდება მცირე ზომის კოჭბები. ზემოთ ჩამოთვლილი ჭურჭლის გარდა აღმოჩენილია იმპორტული, მცირეაზიური კერამიკა – ყავისფერლაქიანი ჯამი, კანთაროსი, სანელსაცხებლე, სკიფოსი[47].

16 ქვევრსამარხში 30 ბრინჯაოსა და 5 რკინის სამაჯური აღმოჩნდა. სამაჯურები ბოლოებგახსნილი, განივკვეთში მრგვალი ან ოვალური მავთულისაგან არის დამზადებული; შემკული არიან სხვადასხვა დეკორით; გვხვდება: ნაჭდევებით შემკული ბოლოებზე გველის ან დრაკონის თავების გამოსახულებებით; სწორ ან ცალლისებრხაზებიანი ან ნაჭდევებიანი ბურცობებით შემკული; სამწახნაგა პრიზმისებრი სიმეტრიულად განლაგებული გამსხვილებებით შემკული; ცალლისებრხაზებიანი და წრეებიანი, სიმეტრიულად განლაგებული ცილინდრული გამსხვილებებით შემკული; ოთხკუთხა

---

45. Н.Кигурадзе. Указ. соч., с.47.
46. Н.Кигурадзе. Указ. соч., с.47-48.
47. Н.Кигурадзе. Указ. соч., с.49-51.

ნაგრძელებული ბურცობებით შემკული; ბურჩამბნექილი, ბოლოებშესქელებული სამაჯურები[48]. ბეჭდები – ბრინჯაოსი, ოვალური ფარაკით. სასაფეთქლე და საყურე რგოლები – განივკვეთში მრგვალი წვრილი ბრინჯაოს ან ვერცხლის მავთულისა, ბოლოებგახსნილი. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ოქროს საყურე რგოლი, რომელსაც ბოლოები დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვს. ხაცისულები – სულ ორი ცალი აღმოჩნდა. ერთი მათგანი დამზადებულია ვერცხლის გრაგნილი მავთულისაგან და დაბოლოებულია კაუჭისებრი საკეტით. მეორე ასეთივე ფორმისაა, ოღონდ ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული. ზარაკები მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა, მათი რაოდენობა 8 ცალს შეადგენს; ირმის გახვრეტილ ძვალთან ერთად ზარაკები ერთიან ყელსაბამს შეადგენენ[49].

მძივები – 20 ქვევრსამარხში დადასტურდა, 1-დან 200 ცალამდე თითოეულ სამარხში. აღმოჩენილია: ქვის – სარდოლიქის და ოპალის, მინის –"თვალედი", მოზაიკური, მოოქრული, მარდანისებრი, ბიკონუსური; მინისებრი პასტის; ბრინჯაოს; მძივსაკიდები – ამფორისკისებრი გაუმჭვირვალე მინისა. მძივების უმეტესი ნაწილი იმპორტულია[50].

მონეტები – სულ 40 ვერცხლის მონეტა არის ნაპოვნი; 39 კოლხური თეთრია – ცრუობოლები, ერთი სინოპური ნახევარდრაქმიანი ძვ. წ. IV ს. ბოლოსა და ძვ.წ. III ს. დასაწყისში მოჭრილი /სამარხი № 21/. მონეტების რაოდენობა ცალკეულ ქვევრსამარხებში 1-დან 9-მდე მერყეობს. მონეტის ჩატანების წესი 13 ქვევრსამარხში დადასტურდა[51].

სამარხეული ინვენტარის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზის და აქვე გათხრილი ნამოსახლარის მასალებზე დაყრდნობით, დაფნარის ქვევრსამარხთა სამაროვანი ზოგადად ძვ.წ. IV-II სს. არის დათარიღებული[52].

---

48. Н.Кигурадзе. Указ. соч., с. 51-53.
49. ნ.კიღურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 53-55.
50. ნ.კიღურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 55.
51. ნ.კიღურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 56-58.
52. ნ.კიღურაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 60.

1937 წლის დეკემბერში მინის სამუშაოების დროს სოფ. ფარცხანაყანევთან აღმოჩნდა სამაროვანი, სადაც 14 ქვევრსამარხი გაითხარა[53]. სამაროვანზე ქვევრსამარხები განლაგებული იყო სამ ცალკეულ ჯგუფად. სამარხად გამოყენებული ქვევრები მანამ მეურნეობაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული, კერძოდ, ღვინის ან სხვა სამეურნეო პროდუქტების შესანახად[54]. სიგრძივ გვერდზე გახეხილი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იდგმებოდა; ქვედა მოხეხილი ნაწილი ზოგ შემთხვევაში რიყის ქვებით მაგრდებოდა, ხოლო ქვევრს ძირზე ერთი, ორი ან სამი მრგვალი ნახვრეტი უკეთდებოდა; ამავე ქვედა ნაწილზე იკრძალებოდა მიცვალებული სათანადო ინვენტარით, რის შემდეგაც ქვევრის ზედა ნაწილს ახურავდნენ, ქვევრის პირს კი მოზრდილი რიყის ქვით /ქვის ზემოდან თიხის სხვა ჭურჭლის ძირს აფარებდნენ/ ან ამფორის ძირით ხურავდნენ და ამგვარად ნემცს ქვევრის მიგნით აქცევდნენ[55].

სამარხი ქვევრები ზომების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: მოზრდილი და შედარებით მცირე ზომის ქვევრები; შესაბამისად პირველი ჯგუფის ქვევრებში მოზრდილი მიცვალებულები იკრძალებოდა, ხოლო მცირე ზომის ქვევრებში – მოზარდები და ბავშვები. ქვევრები მავზედაპირიანია. მიცვალებული ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებში ხელფეხმოკეცილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე იკრძალებოდა[56].

მიცვალებულთათვის ჩატანებული ინვენტარი შედგება თიხის ჭურჭლის, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულების, მონეტების /კოლხური თეთრები/, მძივებისა და მძივსაკიდებისაგან. საყურადღებოა, რომ ფარცხანაყანევის სამაროვნის ყველა ქვევრსამარხში აღმოჩენილია ნახშირის მცირე რაოდენობა, ე.ი. სარიტუალო კოცონის კვალი.

---

53. М.М.Иващенко. Кувшинный могильник в Западной Грузии. СА.ХШ. 1950, с.320.

54. ა. აფაქიძე. საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. თბ., 1955, გვ.25.

55. М.П.Иванщенко. Указ.соч. с.320.

56. М.М.Иванщенко. Указ.соч. с.32I.

თიხის ჭურჭლის რაოდენობა თითოეულ სამარხში ერთიდან სამამდე მერყეობს. ტრადიციულად ისინი მიცვალებულის თავთან იდგმებოდა. აღმოჩენილია: ხელადები – პირფართო, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, ძირბრტყელი; გვხვდება როგორც სადა, ასევე ორნამენტირებული ხელადები; ქოთნები – გვხვდება როგორც ყურიანი, ასევე უყურო; განსხვავებულია ერთი ჭურჭელი, იგი ყავისფრად არის გამომწვარი, მომაღლო კორპუსი და ბრტყელი ძირი აქვს, შესაძლოა, ჭრაქის დანიშნულება ჰქონოდა[57]. ლითონის სამკაულები – სამაჯურები: ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი მავთულისა, ზურგრადრეკილი, ბოლოებშესქელებული. სამაჯურები ხშირად შემკულია ნაჭდევებით და ბოლოებზე ცხოველების თავების სტილიზებული გამოსახულებებით. უმეტეს შემთხვევაში მათი რაოდენობა თით სამარხში ორ-სამ ცალს არ აღემატება; ერთ შემთხვევაში 10 სამაჯური აღმოჩნდა ერთ სამარხში. ბეჭდები: სულ ორი ცალი, ბრინჯაოსი, ერთის ფარაკზე ამოტვიფრულია ადამიანის ფიგურა, ხოლო მეორეზე ძირს დატემული ადამიანისა და მდგომარე ხარის ფიგურები; ეჟვნები – ბრინჯაოსი, მინიატურული. ერთ სამარხში მათი რაოდენობა 25 ცალს შეადგენს; სასაფეთქლე და საყურე რგოლები: ვერცხლის ან ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი მავთულისა, ბოლოებხსნილი; ზოგ შემთხვევაში ბოლოები ლარებით აქვთ შემკული. ამგვარი რგოლები თითქმის ყველა ქვევრსამარხში აღმოჩნდა; სამარხებში დადასტურდა აგრეთვე წვრილი ბრინჯაოს სამკაულები; მძივები ორი მცირეწლოვანთა სამარხებს გარდა, ყველა სამარხში აღმოჩნდა. მათი რიცხვი რამდენიმე ცალიდან რამდენიმე ასეულამდე მერყეობს თითოეულ სამარხში. მძივები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა, ძირითადად მინისა და პასტის, იშვიათად სერდოლიკის.

მძივსაკიდები აღმოჩენილია მინისა, ამფორისკის, ფრინველისა და გულის ფორმის. ნუმიზმატიკური მასალა წარმოდგენილია 5 კოლხური თეთრით /ნახევარდრაქმიანები/.

ფარცხანაყანევის ქვევრსამარხებიდან მომდინარე კერამიკული

---

57. М.М.Иващенко. Указ. соч., с. 322-324.

ნაწარმი ზოგადად ანალოგიურია დაბლაგომის დაფნარისა და ეშერის ელინისტური ხანის სამარხებიდან მომდინარე თიხის ჭურჭლისა; სამარხეული ინვენტარის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ფარცხანაყანევის ქვევრსამარხები ძვ.წ. III ს-ის II ნახევრით არის დათარიღებული[58].

ზემოთ აღწერილი სამაროვნის გარდა სოფ. ფარცხანაყანევთან შემთხვევით აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე ქვევრსამარხი 1958, 1961-1962 და 1976 წწ.[59].

1958 წ. აღმოჩენილი სამარხი ქვევრი შავზედაპირიანია; ძირთან გაკეთებული აქვს მრგვალი ნახვრეტი; შემკულია გეომეტრიული ორნამენტით. ღერგი, რომლითაც დაუცვიათ ქვევრის პირი, მონაცრისფროდ არის გამომწვარი. სამარხის ინვენტარიდან მხოლოდ ორი ლოქი გადარჩა, ერთი მათგანი მუქაგურისფრად არის გამომწვარი, მეორე - მოყვითალოდ[60].

1961-62 წწ. შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხებიდან შემდეგი ნივთები გადარჩა: სამარხი ქვევრისგვერდის ნატეხები - ქვევრი შავზედაპირიანია, შემკულია ირიბი ნაჭდევებითა და ღარებით; 5 თიხის ლოქი: ამათგან სამი ლოქი სამცურჩაა, ორი-პირმრგვალი; წითლად გაპრიალებული ჯამი, ქუსლიანი; აგურისფრად გამომწვარი თიხის ჯამის ნატეხი; ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულის სამაჯურები; ბრინჯაოს 7 საყურე რგოლი; მძივები სულ 36 ცალი - 8 მოოქრული, 2 მოვერცხლილი, 1 გიშრის,მრგვალი, 2 ბორბლისებრი ძვლისა,დანარჩენი მინისა და პასტის იოჭები. მიცვალებულის 8 კბილი. ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები ერთ კომპლექსს უნდა ეკუთვნოდეს. მეორე სამარხიდან გადარჩა: მათარა - მა-

---

58. ვ.თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 31.
59. ღ.ჯიქია. ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში. ქუთაისის სახ.ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები.თბ., 1971, გვ.23; მ.მამულაძე. ფარცხანაყანევში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. ს დ ს ძ ., VIII, თბ., 1979, გვ. 35-39.
60. მასალა დაცულია ქუთაისის სახ.ისტ.ეთნ.მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში, ინვ. № 7183.

20611
ბიბლიოთეკა

ვად გამომწვარი თიხისა; ქოთანი – შავად გამომწვარი თიხისა, განივკვეთში მრგვალი პაწაწა ყურით; ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულის ბურგჩაზნექილი სამაჯურები, შემკული გველის თავებით ან შესქელებებით; 325 მძივი, პასტისა და მინის იოცები[61].

1976 წელს სოფ. ფარცხანაყანევის ერთ-ერთ საკარმიდამო ნაკვეთზე კიდევ ერთი ქვევრსამარხი აღმოჩნდა. სამარხი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, პირით დასავლეთისაკენ მიმართული. სამარხში აღმოჩნდა: 9 თიხის ჭურჭელი პირფართო, ოინოხოიას ტიპის სადვინე დოქები, ადგილობრივი კანთაროსისებრი ჭურჭელი, კოჭობი, ქოთნები; ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ან სამკუთხა ღეროს სამაჯურები, შემკული ცხოველის სტილიზებული თავებით, შესქელებებით ან სიგრძივი ღარებით.

ინვენტარის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ზემომოყვანილი სამარხები გვიანელინისტური ხანით არის დათარიღებული[62].

1940 წელს ნ. ხოშტარიამ დაზვერვითი სამუშაოების დროს მიაკვლია ქვევრსამარხებს სოფ. ცაიში /ზუგდიდის რ-ნი/[63].

დიდი რაოდენობით ღვინის სიმჟავე აღმოაჩნდა ძვ.წ. IV–III საუკუნეთა სამარხად გამოყენებულ ქვევრს, რომელიც სოფ. ვანში აღმოჩნდა 1948 წელს[64]. ვანის მახლობლად 1976 წელს კიდევ ერთი ქვევრსამარხი აღმოჩნდა თვალაზეიშვილების ვორის აღმოსავლეთ ფერდობზე. კლდოვან დედაქანში ამოუჭრიათ 1 მეტრი სიღრმის მართკუთხედის ფორმის ორმო, რომელშიც სამარხი ქვევრი იყო ჩაწვენილი. ქვევრი შავად არის გამომწვარი, ზედაპირი სადა აქვს /h–90 , მუცლის დმ– 65 სმ/. ქვევრის პირი მა-

---

61. კომპლექსები დაცულია ქუთაისის სახ.ისტ.ეთნ. მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილების ფონდში. ინვ. № 3.
62. მ.მამულაძე. დასახ.ნაშრ., გვ.85–89.
63. Н,Хоштария. Древнее поселение в Даблагоми, Кандидатская диссертация, Тб., 1940, с. 219.
64. ა.აფაქიძე. არქეოლოგიური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში. თბ., 1955, გვ. 73.

ვად გამომწვარი თიხის ქოთნით ჰქონდა დაცული. მიცვალებულის ძვლები მთლიანად დაშლილი იყო და მხოლოდ მათი უფორმო ანაბეჭდებიღა შემორჩა. ქვევრის ყელის ქვეშ აღმოჩნდა წყვილი, განივკვეთში მრგვალი საყურე რგოლი, ბრინჯაოსი, ბოლოებგახსნილი. რგოლებს შუაში ძვლის ფრაგმენტი ჰქონდათ გაყრილი. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, აქ კიდევ ყოფილა ქვევრსამარხთა აღმოჩენის შემთხვევები[65].

1948 წელს სოფ. მალაქში /წყალტუბოს რ-ნი/ შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. სამარხში ნაპოვნია: ღია ნაცრისფრად გამომწვარი ყურმილიანი დოქი, შავად გამომწვარი თიხის კოლხური სასმისი, შავპრიალა მათარა, მუქ ყავისფრად გამომწვარი ზედაპირგაპრიალებული დოქი. თიხის ჭურჭელზე დაყრდნობით, მალაქის ქვევრსამარხი ადრეელინისტური ხანით დათარიღდა[66].

ამავე სოფელში მიწის სამუშაოების დროს 1970 წელს კიდევ ერთი ქვევრსამარხი აღმოჩნდა. სამარხი ქვევრი ორმოში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, პირი კოლხური ამფორის ძირით ჰქონდა დაცული. სამარხში ნაპოვნია აგურისფრად გამომწვარი დოქი, რომელსაც ორლულოვანი, განივკვეთში მრგვალი ყური აქვს, ყელი და ტანი წითელი საღებავით შეღებილი. დოქზე დაყრდნობით სამარხი გვიან ელინისტური ხანით არის დათარიღებული[67].

1951 წელს, მიწის სამუშაოების დროს სოფ. ქვემოხეთში, საკარმიდამო ნაკვეთზე შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი, სამარხი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. სამარხში ნაპოვნია მოწითალო-მოყავისფრო გამომწვარი თიხის ორი ხელადა, მოწითალო გამომწვარი

---

65. ცნობები თვალაბეიშვილების გორაზე აღმოჩენილი ქვევრსამარხის შესახებ მოგვაწოდეს სამარხის გამთხრელებმა, ვანის ექსპედიციის წევრებმა გ.კვირკველიამ და დ. ახვლედიანმა. მასალა ინახება ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე.
66. ვ.თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 34-35.
67. ვ.თოლორდავა. დასახ.ნაშრ. გვ. 35.ინვენტარი დაცულია ქუთაისის სახ.ისტ.ეთნ. მუზეუმში ინვ. N 61.

თიხის კოჭობი, მოწითალოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის მცირე ნატეხები, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხები, სტილიზებული გველის თავებით შემკული; ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულის წყვილი საყურე რგოლი; რკინის დანა; მძივები – მინის სხვადასხვა ფორმისა, შიგნიდან მოოქრო-ვილი; ოქროს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული თავგახსნილი რგოლი. ქვემოხეთის ქვევრსამარხი წითელი სალებავით მოხატულ დოქზე და მოოქრულ მძივებზე დაყრდნობით ძვ. წ. III ს. მიწურულითა და ძვ.წ. II ს. არის დათარიღებული[68].

1954 წელს, რეხის ცყის სამაროვანზე /რომელიც სოფ. ფარცხანაყანევის მახლობლად საკოლმეურნეო ნაკვეთზე მდებარეობს/, გათხრებს აწარმოებდა ა.ლ.კალანდაძე, რომელმაც აქ 6 ქვევრსამარხი გათხარა[69]. სამარხად გამოყენებული ქვევრებისაგან მხოლოდ 8 ნატეხი შემორჩა; ერთ-ერთი მათგანი ყელ-მხრის ნატეხია, რომელზეც ამოკაწრულია ნიშანი. სამარხებში ნაპოვნია: 6 დოქი, მათი უმრავლესობა დამტვრეულია; გვხვდება მრგვალპირიანი და სამტუჩა დოქები, გამომწვარი მოვარდისფროდ ან მოჩალისფროდ. 5 ქოთანი – შავ აგურისფრად გამომწვარი თიხისა; 4 აგურისფრად გამომწვარი თიხის ჯამი. 2 ამფორის ძირი[70]. ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულის ბურგჩადრეკილი სამაჯურები, მათი ბოლოები შემკულია შესქელებებით ან სტილიზებული გველის თავებით; სასაფეთქლე რგოლი განივკვეთში მრგვალი წვრილი ბრინჯაოს მავთულისა; წყვილი საყურე რგოლი, ოქროს განივკვეთში მრგვალი წვრილი მავთულისა; პასტისა და მინის მძივები, მათ შორის 4 მინის მოოქრული.

ზემომოყვანილი რეხის ცყის სამაროვნის ქვევრსამარხები, ჩვენ

---

68. ნ.ვაშაკიძე. სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სდსძ. III, თბ., 1973, გვ. 82-84.
69. ლ.ჯიქია. "ქუთაისის ქვეყნის" ძვ.წ. I ათასწლეულის არქეოლოგიური ძეგლები. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 76-77.
70. ლ. ჯიქია. საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 76-77.

აზრით, გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ფარცხანაყანევში გათხრილ ამავე ციხის სამარხებთან და ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია ისინი ძვ.წ. III ს. დავათარიღოთ.

1958 წელს სოფ. საჯავახოში /სამტრედიის რ-ნი/, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. სამარხად გამოყენებულია მავზედაპირიანი ქვევრი, რომელშიც შემდეგი ნივთებია ნაპოვნი: ორყურა სასმისი, ღია ყავისფრად გამომწვარი თიხისა; დოქის პირ-ყელის ნატეხი; მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი; ბრინჯაოს სამაჯური, ბუნვსრილი, ბოლოებგახსნილი; ასეთივე სამაჯურის 10 მცირე ნატეხი; სამაჯური – ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულისა; საყურე რგოლების 4 ნატეხი, რკინის განივკვეთში მრგვალი მავთულისა; მძივები – 11 ცალი, 2 ყვითელი პასტის იოცი, 9 ლურჯი მინის მრგვალები; კოლხური თეთრი, მცირე ნომინალი – ტრიობოლი; მიცვალებულის 2 კბილი[71].

1958 წელს სოფ. მთისძირში, მიწის სამუშაოების დროს, დაზიანდა ქვევრსამარხი, მაგრამ ორი თიხის დოქი მაინც გადარჩა, ერთი მათგანი მონაცრისფროდ არის გამომწვარი, შემკულია 5 პარალელური ღარით, ხოლო მეორე – სამყურა, გამომწვარია რუხად[72].

1958 წელსვე სოფ. ნიღნარში, მიწის მუშაობის დროს, აღმოჩნდა კიდევ ერთი ქვევრსამარხი. სამარხად გამოყენებული ქვევრი ორმოში ვერტიკალურად იყო ჩადგმული. ქვევრი მავზედაპირიანია, მხარზე მამლის სტილიზებული გამოსახულება აქვს ამოკაწრული, ტანი მთლიანად არის შემკული ზოლწრიული ორნამენტით. სამარხში ნაპოვნია: დოქი მაღალ ვა-

---

71. ლ. ჯიქია. ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში. ქუთაისის სახ. ისტ.-ეთნ. მუზეუმის მასალები. თბ., 1971, გვ. 23. მასალა დაცულია ქუთაისის ისტ.-ეთნ. მუზეუმში, ინვ.№ 7218.
72. ნ. კიღურაძე. ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972, გვ. 54. მასალა დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ინვ. № 7216 და №7217.

ნამწვარი თიხისა; ყელაპირ-გაპრიალებული, შემკულია გეომეტრიული სახე-ებით. მაღალყურიანი კანთაროსი. ბეჭდები – ერთი ტიპისაა, დამზადებულია ბრინჯაოს ფირფიტისაგან, რკალი თავთან ფართოვდება და ვარდის ბრ-ტყელ ფარაკში, ერთ-ერთ ბეჭედს რკალი გახსნილი აქვს; სამაჯური – ბრინ-ჯაოს ბრტყელი ვიწრო მავთულისა, მას ბუნგი ჩაბნეჭილი აქვს, ბოლოები შემკულია გველის თავის სტილიზებული გამოსახულებით, მონეტები – ნა-ხევარრკალქმიანი კოლხური თეთრები /4 ცალი/. სამარხეული ინვენტარის, კერძოდ, მაღალყურიანი კანთაროსის და თვით სამარხი ქვევრის გათვალისწი-ნების საფუძველზე ნიფნარის ქვევრსამარხი ძვ.წ. IV ს. მიწურულით და ძვ. წ. III ს. დასაწყისით არის დათარიღებული[73].

50-იან წლებში სოფ. ძევრის მახლობლად, საგვარჯილეს გამოქვა-ბულთან, გაითხარა ერთი ქვევრსამარხი. აგურისფრად გამომწვარი სადა წელაპირიანი სამარხი ქვევრი სიგრძეზე გახერხილი, ორმოში ჰორიზონ-ტალურად ჩაწვენილი, პირით სამხრეთისაკენ მიმართული. მიცვალებული დაკრძალულია მარცხენა გვერდზე ძლიერ ფეხმოკეცილი. სამარხში ნა-პოვნია რკინის შუბისპირი, რკინის მოკლე სატევარი, რკინის აბზინდა, რკინის მშვილდსაკინძის ნატეხები; მინის 9 მძივი; ორი ვერცხლის ოვა-ლური ვარდული. სამარხეულ ინვენტარზე, კერძოდ, რკინის სამკაულებსა და იარაღზე დაყრდნობით სამარხი ახ.წ. II საუკუნით არის დათარიღე-ბული[74].

სოფ. დიდვანთან, ყვითელაურში, 1959 წ. შემთხვევით აღმოჩ-ნდა სამარხი ქვევრი, რომელიც შეიცავდა თიხის ჭურჭელს, ბრინჯაოს სა-მაჯურებსა და მძივებს. რიხაცაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმამდე მხო-ლოდ ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხებმა და მძივებმა მოაღწია. გველის სტი-ლიზებულ თავიანი ბრინჯაოს სამაჯურის, მძივსაკიდებისა და მოოქრული

---

73. ნ. ვაშაკიძე. სუფსა ნატარების აუზის ანტიკური ხანის ძეგლები. საკანდიდატო დისერტაცია. ბათუმი, 1975, გვ.50 და შემდეგი.

74. ნ. ყუთუნიძე. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქე-ოლოგიური ძეგლები. მსკა, II. თბ., 1959, გვ. 60-62.

მძივების მიხედვით სამარხი ძვ.წ. III საუკუნის II ნახევრით არის დათარიღებული[75].

1959 წელს სოფ. ზენობანში, საჯალამბროში, მიწის სამუშაოების დროს, აღმოჩნდა ქვევრსამარხი. ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. სამარხში ნაპოვნია: დოქი–მოვარდისფრო გამომწვარი თიხისა, ძირზე ამოკაწრული აქვს სვასტიკა; ბრინჯაოს სამაჯურების ნატეხები; მძივები და მძივსაკიდები. ზენობნის ქვევრსამარხში ძვ.წ. III საუკუნის II ნახევრით არის დათარიღებული[76].

1961 წელს სოფ. ქვიტირში შემთხვევით აღმოჩნდა დაზიანებული ქვევრსამარხი. სამარხი ქვევრისაგან შემორჩა მხოლოდ კედლის ნატეხი – შავად გამომწვარი თიხისა, შემკული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზოლებით. სამარხში ნაპოვნია: დოქი – რუხად გამომწვარი თიხისა, ჯამი – მოყავისფრო გამომწვარი თიხისა; რუხად გამომწვარი თიხის დოქის ყურის ნატეხი; სამაჯური – ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ბურგჩაზნექილები; ბეჭედი – ინტალიო, ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგან დამზადებული, კიდეებზე წრიული ხაზები აქვს ამოღარული, ფარაკზე–მოჯირითე ცხენები.[77]

1961 წელს სოფ. მესხეთში, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. სამარხში ნაპოვნია: დოქი – მონაცრისფრო გამომწვარი თიხისა, პირი სამტუჩა აქვს; დოქი – შავად გამომწვარი თიხისა; დოქი – აგურისფრად გამომწვარი თიხისა; დოქი – წითლად გამომწვარი თიხისა, პირი სამტუჩა აქვს; ჯამი – შავად გამომწვარი თი-

---

75. ნ.ვამაკიძე. სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სდ სძ, III, თბ., 1973, გვ. 81–82.
76. ნ.ვამაკიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 79–80.
77. ლ.ჯიქია. ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში.გვ. 23; ო.ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 42. ინვენტარი დაცულია ქუთაისის სახ. ისტ.-ეთნ. მუზეუმში, ინვ. № 8.

ხისა, ქუსლიანი; ჯამი – წითლად გამომწვარი თიხისა, ასევე ქუსლიანი; ბეჭედი – ინტალიო, ბრინჯაოს თხელი ფურცლისა, თავებგახსნილი, ფარაკზე გამოსახულია ცხენი მოძრაობაში, პროფილში მარცხნივ; ბეჭედი – ინტალიო, ბრინჯაოს სქელი ფურცლისა, თავებგახსნილი, ნაპირებზე ღარები აქვს გავლებული, ფარაკზე გამოსახულია მუხლმოყრილი ადამიანი, დაბალ სვეტზე მჯდომარე, პროფილში მარცხნივ, ხელში პირთან მიტანილი სასმისი უჭირავს, სვეტის თავზე გველია შემოხვეული; ბეჭედი – ბრინჯაოს თხელი ფურცლისა, ფარაკზე გამოსახულია გრძელი კაბით შემოსილი ათლეტური აღნაგობის ფეხზე მდგომი მამაკაცის ფიგურა. ბეჭდები ძვ.წ.III – საუკუნით თარიღდება;[78] სამაჯურები – 3 ცალი, ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ბურჩაზნექილები; მძივები – 14 ცალი, 10 მინისა, ირიბებული, 1 ლურჯი; პასტის 1 შავი, 2 ცისფერი, მრგვალები.[79]

სოფ. მესხეთშივე 1963 წელს კიდევ ერთი ქვევრსამარხი აღმოჩნდა. სამარხი ქვევრი რუხად გამომწვარი თიხისა, მთლიანად დამტვრეულია. სამარხში ნაპოვნია: დოქი – ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა; სამაჯურები ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულისა, ბურჩაზნექილები, თავგახსნილი, ზარაკები – 6 ცალი, ბრინჯაოს სქელი ფურცლისა, გვერდებშექრილი; სასაფეთქლე რგოლები – ბრინჯაოსი, 2 ცალი; ბეჭედი – ბრინჯაოს თხელი ფურცლისა; მძივი – 1 ცალი, ბრინჯაოსი, მრგვალი, რიყის ქვა /სანაყი/; კოლხური თეთრი[80].

1962 წელს სოფ. ოდილაურში შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი.

---

78. მ.ლორთქიფანიძე. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი. I, თბ., 1969, გვ. 97–99.

79. ო.ლორთქიფანიძე. დასახ.ნაშრ. გვ. 42; ლ.ჯიქია; დასახ. ნაშრ. გვ. 23.

80. მესხეთში აღმოჩენილი ორივე ქვევრსამარხის ინვენტარი დაცულია ქუთაისის ისტ. ეთნ. მუზეუმში. ინვ. N I და N II.

სამარხი ქვევრისაგან მხოლოდ გვერდის ნატეხი გადარჩა. ქვევრი შავზე-დაპირიანია, შემკული გეომეტრიული სამკაულით. სამარხში ნაპოვნია: ერ-თი ბრინჯაოს სამაჯური, მძივები – 8 ცალი, ბრინჯაოსი, გვერდებდაღა-რული[81].

1966 წელს ქუთაისის სამხრეთით, სოფ. უკანეთში, მიწის სამუ-შაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ორი ქვევრი. ერთი მათგანი ცარი-ელი გამოდგა, მეორე კი შეიცავდა მიცვალებულის ძვლებსა და ინვენტარს. ინვენტარიანი სამარხი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, ორიენტირებული სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ქვევრი შავზედაპირიანია, შემკულია პარალელური ღარებით, გახეხილია სიგრძეზე. კედლებში გაკე-თებული აქვს რამდენიმე მრგვალი ნახვრეტი. ქვევრს პირი თიხის ჭურჭ-ლით ჰქონდა დაცული. სამარხში ნაპოვნია: 6 თიხის ჭურჭელი – ორი სამ-ცურა დოქი, ორი განივკვეთში მრგვალი ყურის მქონე პირმრგვალი დოქი, შავპრიალა უქუსლო და ქუსლიანი ჯამები, ყურიანი ქოთანი; ბრინჯაოს სა-მაჯური; რგოლი ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული, ბოლოებგახ-სნილი, მძივები – 266 ცალი, 64 მინის მოოქრული და 59 მოვერცხლილი, 124 მინისა და სერდოლიკის მრგვალი და რომბისებრი, 19 პასტის სხვადა-სხვა ფერისა და ფორმის. სამარხში აღმოჩენილი სამცურა დოქები და ბუნგ-ჩამნექილი ბრინჯაოს სამაჯური ანალოგიებს პოულობს ფარცხანაყანევის შესაბამის მასალებთან და ამის საფუძველზე სამარხი ელინისტურ ხანას განეკუთვნება[82].

1965 წელს სოფ. ქვედამესხეთში, მიწის სამუშაოების დროს, შემ-თხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. გეომეტრიული ორნამენტით შემკული

---

81. ო.ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966, გვ. 43; ლ.ჯიქია. ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში. გვ. 23. ინვენტარი ინახება ქუთაისის სახ.ისტ.ეთნ.მუზეუმში ინვ. N 10.
82. ლ.ჯიქია. ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში. ქუთაისის სახ.ისტ.ეთნ.მუზეუმის მასალები. თბ.,1971, გვ.24–25; ვ.თოლორდა-ვა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ.,1980, გვ. 33

შავზედაპირიანი სამარხი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, დამხრობილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ქვევრი გამოწვამდე სიგრძეზე გახეხილი. სამარხში ნაპოვნია: დოქი – მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა, შემკულია გეომეტრიული ორნამენტით, დერგის პირ-ყელის ნატეხები; სამაჯურის ნატეხები – ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი წვრილი მავთულისა, ზურგსწორი, ბოლოებჩამოჭრილი. სამარხი ძვ.წ. III ს. არის დათარიღებული[83].

ამავე სოფელში 1974 წელს, მიწის სამუშაოების დროს, კიდევ ერთი ქვევრსამარხი აღმოჩნდა. სამარხი ქვევრისაგან მხოლოდ გვერდის ნატეხები შემორჩა, იგი შავზედაპირიანია. სამარხში ნაპოვნია: დოქი – აგურისფრად გამომწვარი თიხისა; ჯამი – რუხად გამომწვარი თიხისა, პირჩაკეცილი, ქუსლიანი; ამფორის პირ-ყელის ნატეხები; დერგის ნატეხები; ბრინჯაოს სამაჯურების 13 ნატეხი – განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ზურგჩაზნექილები, ბოლოები გველის სტილიზებული თავებით აქვთ შემკული; მძივები – 133 ცალი, მინის ირიზებული – 66, ლურჯი თეთრი თვალაკებით – 1, თეთრი მანდარინის გულისებრი – 1; შავი თეთრი ზოლებით – 5, ლურჯი თეთრი ტალღოვანი ხაზებით ოთხკუთხა ფორმის – 2, მინისებრი პასტის შავი თეთრი ზოლებით – 1, პასტის სხვადასხვა ფერის იოტები[84].

1956 წელს ქ.ცხაკაიას სამხრეთ გარეუბანში, ბაცნაოხორუს ბორცვზე, დასავლეთ საქართველოს დაზვერვითმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია ორი ქვევრსამარხი; ორივე სამარხად გამოყენებული ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, დამხრობილი დასავლეთიდან – აღმოსავლეთისაკენ; ორივე ქვევრი სამარხად გამოყენებამდე მეურნეობა-

---

83. ლ.ჯიქია. დასახ.ნაშრ. გვ.25–26; ვ.თოლორდავა. დასახ.ნაშრ.გვ.34. მასალა დაცულია ქუთაისის სახ.ისტ.ეთნ.მუზეუმში, ინვ. № 32-1-3-66.
84. გ.გრიგოლია, გ.ფხაკაძე, მ.ბარამიძე, გ.ლორთქიფანიძე. დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. მსკა, V, თბ., 1973, გვ. 31–33; ვ.თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 35–36.

შია ნახმარი. პირველი სამარხი ქვევრის შუა ნაწილში აღმოჩნდა ვარდისფრად გამომწვარი თიხის ჩალენილი ხელადა; მიცვალებულის ფეხებთან პატარა სამტუჩა ხელადა იდო; ამას გარდა სამარხში აღმოჩნდა: სამაჯური – ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ბურგჩაზნექილი; რკინის განივკვეთში მრგვალი მავთულის სამაჯურის ნატეხები; მინის მძივები; მძივსაკიდები – დელფინისა და ამფორისკის ფორმისა. მეორე სამარხში ნაპოვნია: ორი დამტვრეული ჭურჭლის ნატეხები; სამაჯური – ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ბურგჩაზნექილი, ბოლოები შემკული აქვს სტილიზებული გველის თავებით; ბრინჯაოს განივკვეთში სამკუთხა ყურსაკიდი, რომელსაც პასტის ლურჯი მძივი აქვს გაყრილი; მინის მძივები. ბატნაოხორუს ქვევრსამარხები ინვენტარზე დაყრდნობით, აგრეთვე სამარხი ქვევრის პორიზონტალური მდგომარეობის მიხედვით ძვ. წ. III–II სს. არის დათარიღებული[85].

1967 წელს ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სოფ. ჩიბათში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხის ინვენტარი შევიდა. ინსტიტუტამდე მოღწეული ნივთები წარმოდგენილია ორი თიხის ჭურჭლით: დოქი – მონითალოდ გამომწვარი თიხისა; შავლაქიანი ლეკითოსი. ჩიბათის ქვევრსამარხი იმპორტულ ლეკითოსზე დაყრდნობით ძვ.წ. IV ს-ის მიწურულითა და ძვ.წ. III ს. დასაწყისით არის დათარიღებული[86].

სოფ. ზემოფარცხმა მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში, აქ აღმოჩენილი სამაროვანი კი სოფლის ჩრდილოეთით ე.წ. ვარდანაულის ფერდობზეა განლაგებული. აღნიშნული სამაროვნის არქეოლოგიური შესწავლა განაპირობა ამ ადგილას 1961 და 1964 წწ. შემთხვევით ქვევრსამარხების აღმოჩენამ[87].

---

85. მასალა დაცულია ქუთაისის ისტ. ეთნ. მუზეუმში ინვ. N 124.

86. ნ.ვაშაკიძე. სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. სდსძ, III, თბ., 1973, გვ. 78-79.

87. ნ.ვაშაკიძე. სუფსა ნატანების აუზის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. საკანდიდატო დისერტაცია, ბათუმი, 1975, გვ.67.

1968-1970 წწ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ა.ინაიშვილის ხელმძღვანელობით ქვევრსამარხების აღმოჩენის ადგილას აწარმოვა საველე არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც გამოვლენილი და შესწავლილი იქნა 704 კვ.მ. ფართობზე განლაგებული ქვევრსამარხთა სამაროვანი. ორი წლის განმავლობაში აღნიშნულ სამაროვანზე /შემთხვევით აღმოჩენილ სამარხებთან ერთად/ გაითხარა 35 ქვევრსამარხი[88].

ზემოფარცხმის სამაროვანზე სამარხად გამოყენებულია ქვევრები და მოზრდილი დერგები. ნავარაუდევია № 6 ქვევრსამარხის სამარხჭურჭლად ამფორა ყოფილიყო გამოყენებული. სამარხად გამოყენებული ჭურჭლის უმრავლესობა მიწაში თავდაყირა იყო ჩადგმული. პირზე სამარხ ჭურჭელს ქვევრისავე მოზრდილ ნატეხს აფარებდნენ. ვერტიკალურად ჩადგმულ სამარხებთან ერთად ზემოფარცხმის სამაროვანზე თანაარსებობს სამარხი ჭურჭლის ჰორიზონტალური მდგომარეობაც; ასეთი სამარხი 11 დადასტურდა. ქვევრები პირით დასავლეთისაკენ ან სამხრეთ დასავლეთისაკენ იყვნენ მიმართულნი. მიცვალებულის ჩასასვენებლად ქვევრის მუცელი ამოტეხილია, შემდეგ კი შევსებულია მისივე ნატეხებით. ზოგ შემთხვევაში ჰორიზონტალურად დაწვენილი ქვევრის პირი ამფორით იყო დაცული. მიცვალებული იკრძალებოდა ხელფეხმოკეცილ პოზაში, თავით დასავლეთისაკენ[89]. ქვევრები მავზედა-პირიანია, ზოგიერთი ქვევრი მუცლის ქვემოთ, გამოწვამდე გარედან არის ნაწილობრივ ღრმად გაზეხილი, კედლის გადაუჭრელი ნაწილი კი გამოწვის შემდეგაა გადატეხილი[90]. 6 სამარხ ქვევრს ყელ-მხარის არეში დატანილი აქვთ ნიშნები.

ზემოფარცხმის ქვევრსამარხების ინვენტარის მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივი ნაწარმის თიხის ჭურჭელი შეადგენს. იშვიათია იმპორტული ჭურჭელი, ადგილობრივი ნაწარმის ნაწილი ხელით ნაძერწია, დანარჩენი—

---

88. ნ.ვაშაკიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 68.
89. ნ.ვაშაკიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 69-70.
90. ნ.ვაშაკიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 98-100.

მონგვის სამუალებით. მე-3 ქვევრსამარხის გარდა, რომელშიც 7 თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, დანარჩენ ქვევრსამარხებში თითო ან ორი თიხის ჭურჭელია ჩატოვებული; ჭურჭელი სადა მეღაპირიანია, გამონაკლისს წარმოადგენს მე-3 ქვევრსამარხში აღმოჩენილი სამი ჭურჭელი. თიხის ჭურჭელი ძირითადად წარმოდგენილია ამფორებით, ქოთნებით, დოქებით და ჯამებით. ამფორები ყავისფერკეციანია, ნაპოვნია 6 ამფორის ძირ-გვერდის ნატეხები. ერთ შემთხვევაში /სამარხი II 6/ ამფორა დასაკრძალავ ჭურჭლად აქვს გამოყენებული. ორ შემთხვევაში ამფორით სამარხი ქვევრის პირია დაცული. ქოთნები /10 ცალი/ – პირფართო, გაპრიალებული ვერტიკალური ზოლებით შემკული, შავად გამომწვარი, ჩარხზე ნაკეთები ქოთანი; რუხ-ნაცრისფრად გამომწვარი ხელით ნაკეთები მრგვალპირიანი, ყურიანი ქოთნები და ასევე, ოღონდ უფრო მცირე ზომის ყურიანი ქოთნები. დოქები აღმოჩენილია: მრგვალპირიანი, სამწურა, მრგვალმუცლიანი, მსხლისებრი მოყვანილობის,ყურიანი. კოჭობები აღმოჩენილია 2 ცალი, ორივე შეღებლია მოწითალო-მოყავისფრო; ჯამები აღმოჩენილია: პირჩაკეცილი, მოწითალო ხსნარით ანგობირებული, პირგადაშლილი ქუსლიანი ჯამები, მოწითალო ხსნარით ანგობირებული, პირგადაშლილი ქუსლიანი ჯამები. პირნაცერილი, ხელით ნაძერწი, მოშავო-მორუხო თიხის ჯამები; იმპორტული ჭურჭელი – აღმოჩენილია მცირეზომიანი კანთაროსი, მოვარდისფრო გამომწვარი თიხისა და ასევე მოვარდისფრო გამომწვარი წყვილღვრიანი ლეკითოსი. ლითონის სამკაულებში წამყვანი ადგილი სამაჯურებს უკავია. აღმოჩენილია 59 ბრინჯაოსა და 4 რკინის სამაჯური. საყურე – რგოლები აღმოჩენილია 19 ცალი: 2 ოქროსი, 7 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულისა. მათი რაოდენობა თითოეულ სამარხში 1-დან 4-მდე მერყეობს. ზარაკები – აღმოჩნდა 3 ცალი, ბრინჯაოსი, გვერდებშეჭრილები; ლითონის ნაკეთობებს მიეკუთვნება აგრეთვე ერთადერთი რკინის სასხლავი დანა[91].

მძივები და მძივსაკიდები – 2500 ცალს აღწევს; მონეტები – 10 ქვევრსამარხში 29 კოლხური თეთრია აღმოჩენილი. ყველა მონეტა მცირე ნომინალებია – ნახევარდრაქმიანები. მონეტების რაოდენობა თითოეულ სამარ-

---

91. ნ.ვაშაკიძე. დასახ. ნაშრომი. გვ.97-98, 108-138.

ხში ერთიდან სამამდე მერყეობს. გამონაკლისს წარმოადგენს მე-16 სამარხი, რომელშიც 10 მონეტა დადასტურდა. ხშირ შემთხვევაში მონეტა მიცვალებულს პირში ჰქონდა ჩადებული ან მარჯვენა ხელის მტევანთან ედო[92].

ზემოფარცხმის ქვევრსამარხები, სამარხად გამოყენებულ ქვევრებში, აგრეთვე ინვენტარზე /ბრინჯაოს სამაჯურები, კოლხური თეთრები, მოოქრული და მოვერცხლილი მძივები/ დაყრდნობით ძვ.წ. IV ს. ბოლოთი და ძვ. წ. II ს. არის დათარიღებული[93].

60-იან წლებში გურიანთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის მიერ სოფ. გოგორეთში აღმოჩენილ იქნა ერთი ქვევრსამარხი. სამარხად გამოყენებული ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, პირით აღმოსავლეთისკენ მიმართული. სამარხში ნაპოვნია: მოწითალო გამომწვარი თიხის ქუსლიანი ჯამები; წითლად გამომწვარი თიხის კანთაროსი; მინის მძივები და მძივსაკიდები; ვერცხლის საყურე რგოლები; რკინის სამაჯურის ფრაგმენტები. კანთაროსზე და მოოქრულ მძივებზე დაყრდნობით სამარხი ძვ.წ. II-I სს. არის დათარიღებული[94].

სოფ. ნოქალაქევში 1973-1977 წწ. ციხე-გოჯის აღმოსავლეთით, გალავნის გარეთ, ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა სამაროვანი - 27 ორმოსამარხი და 6 ქვევრსამარხი[95].

ნოქალაქევის სამაროვანზე გამოკვლეული ყველა სამარხი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი /6 - პირით აღმოსავლეთისა-

---

92. ნ. ჯამაკიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 135-145.
93. ნ. ჯამაკიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 144-148.
94. ნ. ჯამაკიძე. გურიანთის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. სცსძ, II, თბ., 1971, გვ. 23-24.
95. ნოქალაქევის ქვევრსამარხების შესახებ იხ. Г.О.Гвинчидзе. "Нововыявленный некрополь древней столицы западной Грузии. Цихе - Годжи - Археополиса. Экспрессинформация, Тб.,1978,с. 4-38; გ. გვინჩიძე. ნოქალაქევის ქვევრსამარხები. "მაცნე", 2,1979, გვ. 152-159; ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები, 1973-1977 წწ. I, თბ., 1981, გვ. 151, 162-180.

კენ, ხოლო პირით დასავლეთისაკენ იყო მიმართული. ზოგი სამარხი ქვევრი, მის გარშემო შემოწყობილი რიყის ქვებით იყო გამაგრებული. მიცვალებულები ესვენა ხელფეხმოკეცილ პოზაში, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართულები, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე[96]. ორ ქვევრსამარხს /№ 4 და 6/ X თავზე ქვის ლოდები ეწყო. მე-3 და მე-4 სამარხ ქვევრებთან, პირდაპირ მიწაში, უწესრიგოდ იყვნენ დაკრძალულნი გულაღმა გაშოტილი სახით ქვევრისაკენ მიმართული მიცვალებულები. მიიჩნევენ, რომ ქვევრსამარხების გვერდით ასეთ მდგომარეობაში დაკრძალულები, შესაძლოა შეწირული ცოლები ან მონა-მსახურები ყოფილიყვნენ; ამ მოსაზრებას ამაგრებს ის ფაქტიც, რომ № 3 ქვევრსამარხთან დაკრძალულ მიცვალებულს გულმკერდის არეში რკინის იარაღის ნაშთები აღმოაჩნდა, იარაღისა, რომლითაც შესაძლოა მსხვერპლი განგმირეს[97].

ნოქალაქევის სამაროვანზე სამარხად გამოყენებული ქვევრები კარგად თარიღდება ელინისტური ხანით. ისინი ყველა შავზედაპირიანია; საინტერესო ფაქტები დადასტურდა დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალისა თუ წესების კვლევის საქმისთვისაც. ასე, მაგალითად, მე-4 და მე-5 სამარხი ქვევრების გვერდით დადასტურდა ვერტიკალურად ჩადგმული დიდი ჭურჭლები; მეხუთე სამარხის ორმოს ძირზე დაფენილი ყოფილა ბრტყელი თეთრი ქვები.

ქვევრსამარხებიდან მომდინარე ინვენტარში ერთი მორუხო-მოყავისფრო გამომწვარი თიხის დოქია აღმოჩენილი; დოქს მუცლის ქვედა ნაწილში გამოწვამდე მრგვალი ნახვრეტი აქვს გაკეთებული. ქვევრების გარეთ კი ორი თიხის ჭურჭლის ნატეხები და ვარდისფრად გამომწვარი თიხის შავლაქიანი კანთაროსი აღმოჩნდა. ინვენტარის ძირითად ნაწილს ლითონის სამკაულები შეადგენს. სამაჯურები – ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ან

---

96. გ.გვინჩიძე. ნოქალაქევის ქვევრსამარხები "მაცნე", 2, 1979, გვ. 153–162.

97. გ.გვინჩიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 156, 158, 162.

თიხკუბა მავთულის, ჩაქლაგახსნილები, ზურგჩაზნექილები, ბურცობებით, ქედებით, გრძივი რელიეფური ზოლებით და ქედებით, ბოლოებზე ღრმაკონის სფეროსებური თავებით შემკული სამაჯურები; საყურე რგოლები – ერთი წყვილი დამზადებულია ვერცხლის მავთულისაგან; მეორე წყვილი დამზადებულია ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი მავთულისაგან; ბეჭდები – ბრინჯაოს თხელი ფირფიტისა, ჭრილფარაკიანი; ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს ფირფიტა. რკინის შუბისწვერი; ასამდე ლურჯი, მწვანე და ყვითელი პასტის მძივები; ორი კოლხური თეთრი. ერთი სამარხი /N 1/ საერთოდ უინვენტარო გამოდგა[98].

სამარხად გამოყენებულ ქვევრებზე დაყრდნობით, აგრეთვე სამარხეული ინვენტარის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ნოქალაქევის ქვევრსამარხები ძვ. წ. III–II სს. არის დათარიღებული.[99]

1976 წლის აგვისტოში, ლეჩხუმ-სვანეთის ცენტრალური გზის გაფართოების დროს, მდ. ცხენისწყლის ნაპირზე, მურის ციხეების ქვემოთ, მაქსიმე აღმსარებლის ეკლესიის ნანგრევების /VII ს./ მახლობლად მიწის სამუშაოების დროს ექსკავატორმა ქვევრსამარხი დააზიანა. თვით სამარხი ქვევრის ან მიცვალებულის ძვლების გადარჩენა ვერ მოხერხდა. ამ აღმოჩენის მოწმემ, ადგილობრივმა მცხოვრებმა შ. მურცხვალაძემ მაშინვე მოიჩხრიკა მიწაში გამოჩენილი სამარხის ინვენტარი და ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა. მისი ზეპირი გადმოცემით ჩანს, რომ სამარხი ქვევრი მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩადგმული; იქვე ახლოს კიდევ ერთი ქვევრსამარხი იყო, რომელიც ასევე ძლიერ დააზიანა ექსკავატორმა. ამ სამარხიდანაც ამოიღეს ნივთები და მიცვალებულის ძვლები. ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში აღნიშნული პუნქტიდან შემდეგი ნივთები დაგვხვდა: დოქი – აგურისფრად გამომწვარი თიხისა; სამაჯური – ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ბურცსორი; სამაჯუ-

---

98. ვ. ლეკვინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 153, 154–162. სურ. IIII.
99. ვ. ლეკვინაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 153–165.

რი – რკინისა, განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ზურგსწორი; ბალთა - ბრინჯაოსი; რკინისა და ბრინჯაოს საკინძე, ტანსაცმლის წვრილი მოკაზმულობა; სასაფეთქლე რგოლი – განივკვეთში მრგვალი ვერცხლის მავთულისა, საყურე რგოლი – ოქროს განივკვეთში მრგვალი მავთულისა; რკინის ნამგლისებრი ნივთი, კუთხეში ნახვრეტით, რკინის დანა, ისრისპირები – რკინის /2 ცალი/, შუბის პირები – რკინისა /4 ცალი/. მათ შორის ერთი ორკაპა; მინის ჭურჭლის ნატეხი, მუქი ლურჯი; მძივები – 1 მინის მოგრძო მუქი ლურჯი, 11 ყვითელი და 2 ცისფერი პასტის თვლები; ვერცხლის მონეტა – ცუდად არის შემონახული[100]. მინის ჭურჭელზე, რკინის იარაღისა და სამკაულებზე დაყრდნობით, სამარხები ახ.წ. III–IVსს. შეიძლება დათარიღდეს.

აღწერილი სამარხების გარდა, ცაგერის რაიონში კიდევ ყოფილა ქვევრსამარხთა აღმოჩენის შემთხვევები. ასე, მაგალითად, 20–25 წლის წინათ ქვევრსამარხები აღმოჩენილია თვით ცაგერში და ცაგერის ძველ სასაფლაოზე მიწის სამუშაოების დროს.

1980 წელს ამბროლაურის რაიონში სოფ. სხვავასთან, ანდრიას გორაზე, ფერმის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა ქვევრსამარხი, რომელიც არქეოლოგმა გ.გობეჯიშვილმა შეისწავლა ადგილზე და ივარაუდა სამარხის ადრე შუასაუკუნეებით დათარიღების შესაძლებლობა. რასაკვირველია, ეს მხოლოდ წინასწარი ვარაუდია, მით უმეტეს, რომ სამარხი ძლიერ დაზიანებულია; შემორჩა მხოლოდ ქვევრის პირ–ყელისა და გვერდის ნატეხები, რომლებზეც კირის ნაშთები შეიმჩნევა, აგრეთვე აგურისფრად და შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხის ძელი და მიცვალებულის ძვლების ნაწილები. საქმეს ისიც ართულებს, რომ სამარხი შემთხვევით აღმოჩნდა და მის გარშემო მიწა ალარ გათხრილა და ზოგადი სურათის თუ სიტუაციის წარმოდგენა სამარხის გარშემო ჯერჯერობით შეუძლებელია.

ზემოთ მოყვანილი პუნქტების გარდა, დასავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები დადასტურებულია აგრეთვე: სოფ. ჭოგნარში /ქუთაისის რ-ნი/;

---

100. აღწერილი ნივთები დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ინვენტარი წარმოდგენილია თიხის წყვილღეროვანიყურიანი დოქით, შავად გამომწვარი ჯამებით, რკალშედრეკილი ბრინჯაოს სამაჯურებით; ჭოგნარის ქვევრსამარხები გვიანელინისტური ხანით არის დათარიღებული[101]. სოფ. ზანათთან, აბაშისა და ტეხურის თავშესაყართან, სამარხეული კომპლექსები წარმოდგენილია ბრინჯაოსა და თითბრის ბეჭდებით, რომლებზეც არწივია გამოსახული, ბრინჯაოს სამაჯურებით, მძივებით, კოლხური ნახევარდრაქმიანებით, რომელთა მიხედვით ისინი ზოგადად ძვ.წ.V–II სს. თარიღდება[102]. სოფ. ისულაში თეკლათის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე და თვით რიონის კალაპოტში, ტეხურ-აბაშის შესაყართან[103]; ჩხოროწყუში, კრემაციულ სამარხებთან ერთად, ერთი დერგსამარხი გაითხარა, რომელშიც მოზარდის ძვლები და რკინის სასხლავი დანა დადასტურდა. სამარხი ძვ.წ. III–ახ.წ. I სს. არის დათარიღებული[104]. ბორში, ძვ.წ. I – ახ.II სს. ქვევრსამარხები[105]. სოფ. მუხიანში /ქუთაისის რ-ნი/ სამარხი ქვევრები მიწაში ჰორიზონტალურად იყვნენ ჩაწვენილი; ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ლითონის სამკაულებითა და მძივებით. მუხიანის სამარხები გვიანელინისტური ხანით არის დათარიღებული[106]. ქობულეთ-ფიჭვნარში სამარხები შეიცავდა ბრინჯაოს ზურგშედრეკილ სამაჯურებს, კოლხურ თეთრებს, მინის მძივებს, ბრინჯაოს ძეწკვს. სამარხები ძვ.წ. V ს. მი-

---

101. ვ.თოლორდავა. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 33–34.

102. გ.ელიავა. აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. თბ., 1971, გვ. 11–12.

103. გ.ელიავა. დასახ. ნაშრ., გვ. 12 და შემდეგი.

104. Н.Хоштариа. Чхороцку. Материалы по истории Грузии и Кавказа. Тб., I94I, вып.П, с. 76–77, 9I.

105. გ.ლომთათიძე. საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I–III სს. ისტორიის ინსტიტუტის შრომები I, თბ., 1955, გვ. 359.

106. ვ.თოლორდავა. დასახ. ნაშრ., გვ.32–34.

წნულით და ძვ.წ. IV ს. არის დათარიღებული[107]. ქვევრსამარხები დადასტურდა აგრეთვე ციხესულორში, ცყელევანში /ვანის რ-ნი/[108], სოფ. წოსირსა და ახალსოფელში;[109] მოიპოვება ცნობები ქვევრსამარხების აღმოჩენების შესახებ ბათუმსა და ფოთში[110].

## ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში

პირველი ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში გამოიკვლია გ.ჩიტაიამ 1924 წელს, ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მახლობლად[111]. სამი გათხრილი ქვევრსამარხიდან ორი მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი, ერთი – ვერტიკალურად, პირზე მიფარებული ჰქონდა ქვის ფილა. მიცვალებულები დაკრძალულია ხელფეხმოკეცილ პოზაში. ერთ სამარხში ნაპოვნია: მიცვალებულის თავთან თიხის ხელადები, ყელთან — მინის მოოქრული, სარდიონის, გიშრის, სადაფის მძივების, ცხოველების კბილებისა და თითის სახსრებისაგან შედგენილი ყელსაბამი, ოქროს გრეხილი მავთუ-

---

107. ნ.ხოშტარია. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დას. საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 224;
А.Кахидзе. К истории городов Восточного Причерноморья в античную эпоху /Кобулети - Пичвнари/. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1965, с.24.
108. ნ.კიღურაძე. ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის /დაფნარის სამაროვანი ძვ.წ. V-III სს./. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972, გვ. 54.
109. ა.აფაქიძე. სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესები ანტიკური ხანის საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I, თბ., 1970, გვ. 691.
110. ა. ბოხოჩაძე. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1963, გვ. 133.
111. გ.ჩიტაია. გათხრები ზემოავჭალაში. "მეცნიერება და ტექნიკა", № 3, 1925, გვ. 10.

ლი, ვერცხლის მედალიონი, შუაში ჩასმული პასტის თვლით; მედალიონს ჩამოკიდებული ჰქონდა ბრინჯაოს კულონი; თავის ქალასთან – სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსი, რკინის სამაჯური; ბეჭდები – ბრინჯაოსი, ერთში ოპალის ქვის თვალია ჩასმული, მეორეში–ცისფერი პასტის გომბეშო; ძვლისაგან დამზადებული ჯიხვის თავების ნატიფი გამოსახულება. მეორე სამარხში მამაკაცია დაკრძალული; სამარხში ნაპოვნია: ბრინჯაოს ისრის-წვერი, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ხაცისულელი, მძივები[112]. ინვენტარზე დაყრდნობით ზემოაჭვალის ქვევრსამარხები ძვ.წ. III–I სს. არის დათარიღებული[113].

1934 წელს ქვევრსამარხები აღმოჩნდა მდ. იორის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. უჯარმასთან. სამარხად გამოყენებული იყო ლია ფერის სალვინე ქვევრები[114].

1937 წელს მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. არხილოსკალოს მახლობლად გ.ნიორაძემ და გ.გობეჯიშვილმა გათხარეს სამარხი — სამეურნეო ქვევრის გვერდის მოზრდილი ნატეხი, რომელზედაც დაკრძალული იყო მცირეწლოვანი(ბავშვი). მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ბრინჯაოს რკალხსნილი სამაჯური. სამარხად გამოყენებული ქვევრის ნატეხის გარშემო შემოწყობილი იყო 6 თიხის ჭურჭელი: 2 ხელადა, სამფეხა-ყურიანი თეფში, რომელსაც ზემოდან ორყურა და ცალყურა ჯამები ეწყო; სამარხი, ალაზნის ველის სხვა მასალებთან ერთად, ძვ. წ. I საუკუნით არის დათარიღებული[115].

სამთავროს სამაროვნის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა

---

112. გ.ჩიტაია. დასახ. ნაშრ., გვ. 10–11.
113. ა.ბოხოჩაძე. მევენახეობა–მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1963, გვ.132.
114. М.М.Иващенко. Кувшинные погребения Азербайджана и Грузии. Изв. АН Азерб. ССР, № I, 1947, с. 77.
115. გ.ნიორაძე. ალაზნის ველის გათხრები. თბ., 1940, გვ.1–6, 89–92.

1938 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ქვევრსამარხები სამთავროს სამაროვანზე ცალკეულ ჯგუფებად იყო განლაგებული. 1938–1941 წწ. სამთავროს ჩრდილო და სამხრეთ უბნებზე სულ 150 ქვევრსამარხი გაითხარა[116]. სამარხად გამოყენებული არის სამეურნეო დანიშნულების ქვევრები ან დერგები უმეტესად მიწაში ჰორიზონტალურადაა ჩაწვენილი. სამარხი ჭურჭლის ვერტიკალური მდგომარეობა მხოლოდ 19 შემთხვევაშია დადასტურებული, აქედან 17-ში მიცვალებული არ აღმოჩენილა; ხშირად სამარხი ქვევრების გარშემო, გასამაგრებლად რიყის ქვები იყო შემოწყობილი.

მოზრდილები და მოზარდები იკრძალებოდნენ ვარდისფრად გამომწვარ თიხის ქვევრებში, ბავშვები – ორყურა დერგებში. არის შემთხვევა, როდესაც ბავშვი დაკრძალულია მოზრდილი თიხის ჭურჭლის ნატეხზე და ზემოდანაც ასეთივე ნატეხი აქვს დაფარებული. სამარხად განკუთვნილ ქვევრებსა და დერგებს პირი დაცული ჰქონდათ ბრტყელი კრამიტით ან სოლენისა და კალიპტერის ტიპის კრამიტებით, ბრტყელი ქვით, თიხის ჭურჭლის ნატეხით ან თიხის ფილით. მიცვალებულები ხელფეხმოკეცილ პოზაში მარცხენა /28 სამარხი/ ან მარჯვენა /25 სამარხი/ გვერდზე ესვენა.

14 სამარხი ნყვილაგი აღმოჩნდა; ერთ სამარხში კი სამი მიცვალებული ესვენა /სამარხი № 27 სამხრეთი უბანი – 1939/. სამარხი ქვევრების უმრავლესობა დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ხშირად პირით სამხრეთისაკენ[117].

---

116. სამთავროს სამაროვნის ქვევრსამარხებზე მუშაობისას ვხელმძღვანელობდით ალ. კალანდაძისა და მ. ივაშჩენკოს საველე დღიურებით, რომლებიც საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაშია დაცული. აგრეთვე მ. ივაშჩენკოს ხელნაწერი ნაშრომებით. "Кувшинные погребения Самтавро" и "Кувшинные погребения в Грузии", რომლებიც მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბიბლიოთეკაში ინახება.

117. М.М.Иващенко. Кувшинные погребения Азербайджана и Грузии, с. 77.

სამთავროს ქვევრსამარხთა ინვენტარში უმთავრეს ნაწილს თიხის ჭურჭელი შეადგენს. თითოეულ სამარხში ორ-ორი თიხის ჭურჭელია ჩატანებული, ზოგჯერ შემთხვევებში ოთხი ან ხუთი. არის შემთხვევები, როდესაც ჭურჭელი ქვევრის გარეთ არის ჩადგმული. თიხის ჭურჭლის უმეტესი ნაწილი წითლად ან ღია ჩალისფრად არის გამომწვარი, შეღებილია ან გაპრიალებული წითლად, იშვიათია შავად ან ლეგად გამომწვარი ჭურჭელი. აღმოჩენილია: დოქები - პირი გადაშლილი აქვთ, ყელი მაღალი ან დაბალი, მხრები მკვეთრად დაქანებული, მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი, განივკვეთში მრგვალი ყური მიძერწილია პირს ქვემოთ და მხარზე, სამტუჩა პირიანი დოქები - ყელი მაღალი ან დაბალი აქვთ, მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი. განივკვეთში მრგვალი ყური პირსა და მხარზეა დაძერწილი; კოჭობები - პირი გადმოკეცილი აქვთ, მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი; ქოთნები - არის ყურიანი და უყურო. მოზრდილ ქოთნებს ყური პირს ქვემოთ აქვს მიძერწილი, პატარა ზომის ქოთნებს კი მუცლის შუა ნაწილში; ჯამები - პირი სწორი ან დაბალი - მოყრილი აქვთ, გვერდები დაბალი, ძირი ბრტყელი ან ქუსლიანი, არის ძაბრისებრი ფეხის მქონე ჯამიც; კონუსურძირიანი ჭინჭილა; მილსანურიანი ჭურჭელი; ზოომორფული ჭურჭელი; ორყურა კანთაროსისებრი ფინჯნები.

სამთავროს ქვევრსამარხებიდან მომდინარე სამკაულებში წამყვანი ადგილი სამაჯურებს უჭირავს, აღმოჩენილია 105 ბრინჯაოსა და რკინის განივკვეთში მრგვალი, ბურგჩადრეკილი სამაჯურები. სამაჯურებს ბოლოები შემკული აქვთ ლომის თავებით, ცხოველების სტილიზებული გამოსახულებებით, ნახნაკებით, შესქელებებით. თითქმის ყველა ქვევრსამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს, ვერცხლის ან ოქროს განივკვეთში მრგვალი ან ბრტყელი მავთულის საყურე რგოლები. ხშირად გვხვდება ბეჭდები - ბრინჯაოს, ვერცხლის ან რკინის ფირფიტისაგან დამზადებული, როგორც სადა, ასევე ფარაკიანი ან თვალბუდიანი ბეჭდები, თვალბუდეში მინის ან ქვის თვლებია ჩასმული. საბეჭდავები - გიშრის, ორმხრივი, ცაბლო-იდის ფორმის, გამსჭვალი ნახვრეტით, ცისფერი მინის ათნახნაგა პირა-

ლელეპიპედის ფორმის, მინის ინტალიო, ბრინჯაოს ბეჭდის ოვალურ თვალბუდეში ჩასმული; ბრინჯაოს ზარაკები – კონუსური, დაფანჯრული ან დაკერჭილ გვერდებიანი; ცილინდრული – გვერდებშეჭრილი; რკინის სასხლავი დანები – 5 ცალი; მძივები – პასტის, ქვის, მინის, მოოქრული და მოვერცხლილი[118].

ნუმიზმატიკური მასალა 5 მონეტით არის წარმოდგენილი: ორი ფრაატ III-ის ვერცხლის დრაქმა /ძვ.წ.70-57 წ.წ./, ორი ოროდ I-ის დრაქმა /ძვ.წ. 53-38 წწ./, ერთიც სინატრუკის დრაქმა /ძველი წ. 77-70 წწ.[119]/.

სამარხეული ინვენტარის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, კერძოდ, ქვის მძივებზე, ლითონის სამკაულებზე და ნუმიზმატიკურ მასალაზე დაყრდნობით სამთავროს ქვევრსამარხები ძვ.წ. III-I სს. არის დათარიღებული[120].

1939 წელს საგარეჯოში გ.ნიორაძემ და ვ.გობალიშვილმა გამოიკვლიეს სამაროვანი, სადაც ქვაყუთებსა და ორმოსამარხებთან ერთად, აღმოჩნდა ჰორიზონტალურად დაწვენილი ქვევრსამარხებიც, რომლებიც უახლოვდებიან სამთავროს ქვევრსამარხებს[121].

1948 წელს ცხინვალში მშენებლობის დროს შემთხვევით აღმოჩნდა.

---

118. Г.Г.Леммлейн. Каменные бусы Самтаврского некрополя. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 29, თბ., 1951, გვ. 185-186.

119. М.М.Иващенко. Кувшинные погребения Азербайджана и Грузии. Изв. АН Азерб.ССР, № I, I947, с. 78.

120. გ.ლომთათიძე. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. თბ., 1944, გვ. 35; ა.აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ., 1963, გვ.35; ვ.თოლორდავა. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I ს.მსკა III, თბ., 1963, გვ. 153.

121. გაზეთი "Заря Востока", I940, 25/I, № I9, с.4.

ადრებრინჯაო – გვიანანტიკური ხანის სამარხები, რომელთა შორის ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრსამარხიც ყოფილა[122].

1951 წელს სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა ზნაურის რაიონში, სოფ. არკნეთთან, მდ. ფრონეს ხეობაში, "ვასასწყაროს" სამაროვანზე. აღმოჩენილი 8 სამარხიდან, 6 ორმოსამარხი და 2 ქვევრსამარხი გამოდგა[123]. ერთ შემთხვევაში სამარხად მოწითალოდ გამომწვარი ქილა იყო გამოყენებული, რომელშიც ორი მცირეწლოვანი ბავშვი იყო დაკრძალული. სამარხში ნაპოვნია: ბრინჯაოს წყვილი სასაფეთქლე რგოლი, მძივები, ნიჟარა; მეორე ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. დაკრძალულია წყვილი მიცვალებული ხელფეხმოკეცილ პოზაში. სამარხში ნაპოვნია: ორი შავად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები, ბრინჯაოს ბეჭედი, ბრინჯაოს 3 სასაფეთქლე რგოლი, რკინის ძლიერ დაჟანგული ნივთი, მძივები, ლურჯი მინის სკარაბეოიდი, ლურჯი მინის საბეჭდავები – 5 ცალი, ათნაბნაგა პარალელეპიპედის ფორმის, სიგრძივ გახვრეტილები[124].

არკნეთის 1951 წლის განათხარი ქვევრსამარხები, სამარხეული ინვენტარის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შემდეგნაირად არის დათარიღებული: პირველი დერგსამარხი – ძველი და ახალი წელთაღრიცხვების პირველი საუკუნეები, მეორე ქვევრსამარხი ძვ.წ. II–I სს.[125].

სოფ. არკნეთში 1975 წელს კიდევ აღმოჩნდა ქვევრსამარხები, ქვევრებში მიცვალებულები ხელფეხმოკეცილ პოზაში ესვენა.

---

122. ცნობები მოგვაწოდა გორის ისტ. ეთნ. მუზეუმის დირექტორმა ს.ნადიმაშვილმა. აგრეთვე მოკლე ცნობები იხ. ბ.კუფტინის არქივში – საქ.სახ.მუზეუმში, 1948 წლის მასალებში.
123. თ.ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში; თ.ს.უ. შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 183, 188.
124. თ.ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 188, 198–201.
125. თ.ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 198, 205.

სამარხებში აღმოჩენილია: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს რგოლები, საკინძეები, მინისა და პასტის მძივები. სამარხები გვიანანტიკური ხანით არის დათარიღებული[126].

1956 წლის 12 ივლისს თეთრიწყაროში, დაზვერვითი გათხრების დროს აღმოჩნდა ჰორიზონტალურად ჩაწყობილი ქვევრსამარხი. სამარხად გამოყენებული ქვევრი წითლად არის გამომწვარი, ყელი შემკული აქვს ჭდეური ორნამენტით, ფსკერი გახვრეტილი აქვს გამოწვამდე. დაკრძალული იყო მოზარდი. სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის განივკვეთში მრგვალი წყვილი რგოლსაკიდი, რგოლებს თავები ხსნილი, დაწვრილებული და გახვრეტილი აქვთ. იქვე იდო რკინის დანა. რგოლებსა და დანაზე დაყრდნობით თეთრიწყაროს ქვევრსამარხი ძვ.წ. VI–V სს. არის დათარიღებული[127]. უახლესი მონაცემების მიხედვით თეთრიწყაროს ქვევრსამარხები ძვ.წ. IVს. გადათარიღდა.[128]

1959–60 წწ. სოფ. უფლისციხის ქალაქ გორთან დამაკავშირებელი გზასა და მდ. მტკვარს შორის, მტკვრის მარცხენა ნაპირთან, უფლისციხის დასავლეთით ბამბების ნამოსახლარის ძლური ციხის ნაგებობის იატაკის დონის ქვეშ აღმოჩნდა თავდაყირა ვერტიკალურად ჩაშვებული, წითლად გამომწვარი თიხის მოზრდილი დოქი, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვი იყო დაკრძალული[129].

მოგვეპოვება ცნობები ქვევრსამარხთა აღმოჩენის შესახებ თბილისში. ასე, მაგალითად, 1961 წელს კიროვის ქარხნის ტერიტორიაზე, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. მიცვალებულს პირში მონეტები ჰქონდა ჩადებული[130].

---

126. А.Х.Сланов. Аркнетский могильник. Археологические открытия 1975 г., М., 1976, с. 492.

127. ა.ბოხოჩაძე. ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად. მსკა III, თბ. 1963, გვ.36.

128. ვ.თოლორდავა.დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980, გვ. 46.

129. დ.ხახუტაიშვილი. უფლისციხე I, 1957–1963 წწ., არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბ.,1964, გვ.70–73.

130. ინფორმაცია მოგვაწოდა კიროვის ქარხნის თანამშრომელმა ნ.თორცხალავამ.

1969 წელს დიღმის ხეობაში თრელის სამაროვანში, საამშენებლო სამუშაოების დროს, დაზიანდა სამარხი ქვევრი. მიცვალებული ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილი პოზაში ესვენა თავით დასავლეთისაკენ მიმართული. სამარხში ნაპოვნია: თიხის ჯამი და პასტის იოცები. ქვევრსამარხი ძვ.წ. I საუკუნით არის დათარიღებული[131].

1971 წლიდან სოფ. კავთისხევთან /კასპის რ-ნი/, კავთურას მარცხენა სანაპიროზე, ციხია გორის მახლობლად, დაჭრილების ბორცვსა და საყარაულო სერზე მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის შედეგად 55 ქვევრსამარხი გაითხარა[132]. .

დაჭრილების ბორცვზე /25 ქვევრსამარხი/ სამარხები ჯგუფ-ჯგუფად იყო განლაგებული. სამარხად გამოყენებული არის მეურნეობაში ნახმარი ქვევრები, მათში სამ შემთხვევაში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, დანარჩენში კი ჰორიზონტალურად ჩაწვენილი. ქვევრები ვარდისფრად არის გამომწვარი. ქვევრებს პირზე ბრტყელი, ოთხკუთხა ან საგანგებოდ გათლილი მრგვალი ქვები ეფარა. გამონაკლისს ერთადერთი დერგსამარხი წარმოადგენს, რომელსაც პირი თიხის სხვა ჭურჭლის ნატეხებით ჰქონდა დაცული. მიცვალებულები ქვევრებში ხელფეხმოკეცილი ესვენა, მარცხენა /9 შემთხვევაში/ ან მარჯვენა /ორ შემთხვევაში/ გვერდზე. პირველ ქვევრსამარხში 8 მიცვალებული იყო დაკრძალული; მე-10 და მე-16 სამარხებში სამ-სამი მიცვალებული ესვენა, ხოლო მე-5, მე-11, მე-12, მე-18 და 23-ე სამარხები ნაყილარი აღმოჩნდა[133].

---

131. ე.ნიკოლაიშვილი. ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. I, თბ., 1978, გვ.93,95-96, 103.

132. 132. ნ.ნაკაიძე. ძვ, წ. IV-III სს.ქვევრსამარხები "დაჭრილების" სამაროვნიდან. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980, გვ. 28-40: იმავე კრებულში - გ.ჯინჯიხაშვილი. ძვ.წ. I და ახ.წ. I ს. ქვევრსამარხები "საყარაულო სერის" სამაროვნიდან. გვ. 42, 58.

133. ნ.ნაკაიძე. ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები "დაჭრილების" სამაროვნიდან. გვ.28-40. .

სამარხეული ინვენტარის ძირითად ნაწილს თიხის ჭურჭელი შეადგენს, აღმოჩენილია: დოქები – მოვარდისფრო, მოჩალისფრო და შავად გამომწვარი თიხისა; ყურიანები, ფართოდ გაშლილი პირით, ვიწრო-დაბალი ან მაღალი ყელითა და მრგვალი ან მსხლისებრი ტანით. ზოგიერთი მათგანი მოხატულია წითელი საღებავით, ერთი დოქი გაპრიალებულია წითლად; ხელადები – მოჩალისფრო-მოვარდისფრო გამომწვარი თიხისა, მეწნილად წითლად შეღებილ-გაპრიალებული, პირი მრგვალი ან სამწვერა აქვთ, ყელი – დაბალი, მუცელი – მრგვალი გამობერილი, ძირი ბრტყელი; ყური სამღარიანი; ტოლჩა – მოჩალისფრო გამომწვარი თიხისა; კოჭობები – მოჩალისფრო გამომწვარი თიხისა, არის შავპრიალა ეგზემპლარებიც; ჯამები – მოვარდისფრო, მოჩალისფრო ან აგურისფრად გამომწვარი თიხისა. სამარხებში მრავლად აღმოჩნდა ლითონის სამკაულებიც, ნაპოვნია: განივკვეთში მრგვალი, ოქროსა და ვერცხლის მავთულის სასაფეთქლე და საყურე რგოლები; რკინისა და ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ღეროს ბურგჩაზნექილი, კოპებით შემკული სამაჯურები, ვერცხლისა და რკინის ოვალურფარაკიანი ბეჭდები, ვერცხლის საკინძები; ბრინჯაოს ილარი, მშვილდსაკინძი, ბრინჯაოს ოთხკუთხა საბეჭდავი, სკარაბეოდი, მამაკაცის გამოსახულებით პროფილში, მრგვალი ბრინჯაოს კოლოფი, ბრინჯაოს ლილები, კვირისთავები, გვერდებჩაჭრილი ზარაკები, ნიჟარები, მძივები[134].

დაჭრილების სამაროვნის ქვევრსამარხები ძვ.წ. IV–III სს. არის დათარიღებული[135].

საყარაულო სერზე გათხრილი 30 ქვევრსამარხიდან მეტ-ნაკლებად კარგად დაცული 16 კომპლექსი აღმოჩნდა. სამარხები სამაროვანზე ცალკეულ ჯგუფებად არის განლაგებული.

---

134. ნ.ნაკაიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 29-30.

135. რ.ნაკაიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 40.

საყარაულო სერზე გათხრილი 30 ქვევრსამარხიდან მეტ-ნაკლებად კარგად დაცული 16 კომპლექსი აღმოჩნდა. სამარხები სამაროვანზე ცალკეულ ჯგუფებად არის განლაგებული. სამარხად გამოყენებულია მეურნეობაში ნახმარი საღვინე ქვევრები – ვარდისფრად გამომწვარი თიხისა. ყველა სამარხი ქვევრი მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი; პირი დაცული აქვთ სოლენის ტიპის კრამიტით, მოზრდილი თიხის ჭურჭლის ნატეხით ან რიყის ქვით. მიცვალებულები ხელფეხმოკეცილ პოზაში იკრძალებოდა, მარჯვენა /1 სამარხი/ ან მარცხენა /5 სამარხი/ გვერდზე[136].

საყარაულო სერის ქვევრსამარხებიდან მომდინარე ინვენტარში ნამყვანი ადგილი თიხის ჭურჭელს ეკუთვნის; აღმოჩენილია: დოქები – ვარდისფრად ან შავად გამომწვარი თიხისა, პირი მრგვალი აქვთ, გადმოშლილი, ყელი – დაბალი, ფართო, ნიბოიანი ან მომაღლო, მუცელი–მრგვალი ან მსხლისებრი, ძირი–ბრტყელი; განივკვეთში მრგვალი ყური მიძერწილი აქვთ პირსა და მხარზე, ან მხარსა და მუცელზე. ზოგიერთი დოქი მოხატულია წითელი საღებავით. ამ დოქებს შორის გვხვდება სამცურა ოინოხოიას ტიპის საღვინე დოქებიც. კოჭობები მოვარდისფრო, მოჩალისფრო ან შავად გამომწვარი თიხისა; ქოთნები – მოვარდისფრო ან შავად გამომწვარი თიხისა. ჯამები – მოვარდისფრო ან შავად გამომწვარი თიხის ქუსლიანი, წითლად მოხატული და მოვარდისფრო გამომწვარი ბრტყელძირიანი ჯამები. ლითონის სამკაულები: ბრინჯაოს სამაჯურები – განივკვეთში მრგვალი ღეროსი, ბურგჩაზნექილი, ბოლოებშესქელებული ან ბოლოებზე სტილიზებული თავებით; რკინის სამაჯურები – განივკვეთში მრგვალი ღეროსი, კოპებიანი; ბეჭდები – ბრინჯაოსი, ოვალური თვალბუდით, თვალბუდეში ჩასმულია პასტის თვალი; რკინის მრგვალფარაკიანი ბეჭდი; საყურე რგოლები – ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი, თავებგახსნილი რგოლი, აღმოჩენილია

---

136. გ. ჯინჯიხაშვილი. ძვ. წ. I და ახ. წ. I ს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 42–51.

თითმის ყველა ქვევრსამარხში, უმეტეს შემთხვევაში წყვილი; ზარაკები – ბრინჯაოსი, ნახევარსფერული – მრგვალყუნწიანი, კონუსური – თავგახვრეტილი, გუმბათისებრი – დაფანჯრული; დანები – რკინის; მინის ჭურჭელი: მინიატურული სანელსაცხებლები მომწვანო ან იისფერი გამჭვირვალე მინის, საბეჭდავები – ლურჯი მინის და ძვლის ოთხკუთხა; მძივები – პასტის, მინის, სერდოლიკის, გიშრისა და ბრინჯაოსი; ცისფერი პასტის სკარაბეოიდი, ცისფერი პასტის ყურძნის მტევნის ფორმის მძივსაკიდი; მონეტები – არტაბან II-ის ბრინჯაოს დრაქმა /ძვ.წ.88-77 წწ./ და გოტარზეს ვერცხლის მონეტა /ახ.წ.40-51 წწ.[137].

სამარხეული ინვენტარის შედარებით, ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, სტყარაულო სერზე გათხრილი ქვევრსამარხები. ძვ.წ.I – ახ.წ. I სს. არის დათარიღებული[138].

1975 წელს კარსნისხევის ნასახლართან, სამაროვანზე გაითხარა ერთი დერგსამარხი. ჩალისფრად გამომწვარი სამარხი დერგი მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. მიცვალებული ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე ესვენა. მიცვალებულის ჭურჭელში მოსათავსებლად დერგისათვის მუცლის ნაწილი ამოუმტვრევიათ, შემდეგ კი მოზრდილი ჭურჭლის ძირ-მკერდისნატეხი მიუფარებიათ. სამარხში ნაპოვნია: მოვარდისფრო გამომწვარი თიხის ხელადა, 10 მძივი. ინვენტარზე დაყრდნობით სამარხი ზოგადად ახ.წ. I საუკუნით არის დათარიღებული[139].

1975-1978 წწ. მცხეთაში, სვეტიცხოვლის დასავლეთ კარიბჭესთან, ითხრებოდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, რომლის უძველეს დონეს წარმოადგენს გვიანელინისტური – ადრერომაული ხანის ქვევრსამარხთა ჯგუ-

---

137. გ.ჯინჯიხაშვილი. დასახ.ნაშრ., გვ. 46, 52-55.
138. გ.ჯინჯიხაშვილი. დასახ.ნაშრ., გვ. 56-58.
139. მცხეთა. II. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. დიდი მცხეთის ადრერკინის, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1978, გვ. 32, 53.

ფი. სამარხებად გამოყენებულია თავის დროზე მეურნეობაში ნახმარი სალ-ვინე ქვევრები. სპეციალურად გათხრილ ოვალურ ორმოში ღრმად ჩაწვენილ ქვევრებს ზედა მხარეზე მუცელი ამოჭრილი აქვთ მიცვალებულის ჩასასვე-ნებლად. დაკრძალვის შემდეგ ნატეხები თავ-თავის ადგილას დაუბრუნები-ათ, ზოგან კი სხვა ჭურჭლის ან კრამიტის ნატეხებიც დაუფარებიათ, ქვე-ვრის პირზე ბრტყელი კრამიტი მიუფარებიათ და ამგვარად ნეშტი ქვევრში მოუქცევიათ.

სამ ქვევრსამარხში თითო მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული, მეორე სამეულში კი ორ-ორი, სულ 7 ქვევრსამარხი გაითხარა. ინვენტარი უმთავრესად შედგება თიხის ჭურჭლის, სამკაულებისა და მძივებისაგან. თითქმის შვიდივე სამარხში წარმოდგენილია თიხის ხელადები, რკინისა თუ ბრინჯაოს სამაჯურები, სასაფეთქლე რგოლები და მძივები.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მე-14 სამარხში აღმოჩენილი ორყურა სასმისი – ციპური კანთაროსი, რომლის ანალოგიები აღმოჩენილია სამთავროზე[140] და "რიყიანების ველზე", ალაიანის 26-ე სამარხში, რომელიც ძვ.წ. I ს. თარიღდება[141].

საერთოდ სვეტიცხოვლის უბნის ქვევრსამარხთა ინვენტარი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს სამთავროს ძვ.წ. II-I სს. მასალებთან. "რიყი-ანების ველის" ძვ.წ. I ს. სამარხეულ ინვენტართან და ამის საფუძველ-ზე ძვ.წ. II-I სს. უნდა დათარიღდეს.

1977 წელს სოფ. არაგვისპირის გვიანანტიკური, ადრეფეოდალური ხანის სამაროვნის IX უბანზე, რომელიც მდებარეობს დუშეთის გადასახვე-ვიდან 300 მეტრის დაშორებით, ორჯონიკიძისკენ მიმავალი გზატკეცილის მარცხენა მხარეს, გაითხარა ერთი ქვევრსამარხი /სამარხი № 68/. ვარ-

---

140. ვ.თოლორდავა. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III-I სს. მსკა. III, თბ., 1963, გვ. 43.

141. ნ.მირიანაშვილი. არქეოლოგიური ძეგლები ალაიანიდან. ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 1977, გვ.91.

დისფრად გამომწვარი თიხის სამარხი ქვევრი მიწაში ვერტიკალურად, პირით ზევით იყო ჩადგმული. ქვევრის მუცელზე რელიეფური თოკისებრი ორნამენტი შემოუყვება. ქვევრი შუაზეა გადატეხილი, ქვედა ნაწილი მიწით არის ამოვსებული, მასზე მოზარდია დაკრძალული, ხელფეხმოკეცილ პოზაში, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ მიმართული. შემდეგ ზედა მომტვრეული ნაწილია დაფარებული. სამარხში ნაპოვნია: ვარდისფრად გამომწვარი თიხის სამყურა ხელადა /იდო მიცვალებულის თავთან/, ასევე ვარდისფრად გამომწვარი ყურიანი ხელადა, ზედაპირი წითელი საღებავით აქვს მოხატული და შემკულია წრევით ამოყვანილი კოპებით /იდო მიცვალებულის წვივის ძვლების ზემოდან/; ბრინჯაოს ყუნწიანი კონუსისებრი ზარაკი; 55 სარდიონის, ქარვისა და მინის მძივი, მინის საკინძისთავები, ცხოველის გახვრეტილი კბილი. ინვენტარზე დაყრდნობით სამარხი ზოგადად ახ.წ. III ს. არის დათარიღებული[142].

1977 წელს, ცხინვალიდან 6 კმ-ის დაშორებით, სამხრეთის მიმართულებით, სოფ. ზემო მონასტერში გაითხარა ერთი ქვევრსამარხი. სამარხი ძლიერ დაზიანებული და უინვენტარო გამოდგა. სამარხი ზოგადად ახ.წ. I-II სს. არის დათარიღებული[143].

1978-1980 წწ. ნასტაკისის ველზე /მცხეთის რ-ნი/ მდ. ქსნისა და მტკვრის შესაყართან გამოვლენილ სამაროვანზე, გაითხარა ხუთი ქვევრსამარხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი გამოდგა ინვენტარიანი. სამაროვანზე გვხვდება მიცვალებულთა დაკრძალვა ქოცოში, დერგში, ქოთანში და ჩაფში-ოთხი ქვევრსამარხი ძვ.წ. I ს-ის II ნახ. და ახ.წ. I ს. დასაწყისით არის დათარიღებული, ხოლო ერთი ქვევრსამარხი /№ 42/ ძვ.წ. II ს-ის II ნახევრით. მას ახლავს სამარხი ქვევრის გვერდით, ვერტიკალურ-

---

142. მასალა გამოუქვეყნებელია. ინფორმაცია მოგვაწოდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრმა ც. რობაქიძემ. ინვენტარი დაცულია ჟინვალის ექსპედიციის ბაზაზე, დუშეთში.

143. სამარხი გამოუქვეყნებელია. ინფორმაცია მოგვაწოდა სამარხის გამთხრელმა რ. გაგლოევმა.

რად ჩაშვებული წითელი საღებავით მოხატული ქვევრი, რომელზეც გამოსახულია მხედრების ნადირობის სურათები[144].

ზემოთ მოყვანილი პუნქტების გარდა, აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები აღმოჩენილია: "მთა ქართლზე" სამარხად გამოყენებული ქვევრი შიგნით ჰორიზონტალურად იყო ჩადგმული. დაკრძალულია მოზარდი, ხელფეხმოკეცილი პოზაში. სამარხში ნაპოვნია: ვარდისფრად გამომწვარი თიხის ვიწრო ყელიანი ქურჭელი, ბრინჯაოს ნურგჩადრეკილი სამაჯური, საყურე რგოლები, თავის ქალის მარჯვენა მხარეს ბრინჯაოსი და მარცხენა მხარეს ვერცხლის; სარდიონისა და მინის მოოქრული მძივები, სამარხი ძვ.წ. უკანასკნელი საუკუნეებით არის დათარიღებული.[145] ურბნისის ნაქალაქარის სამაროვანზე, სადაც 7 დერგსამარხი გაითხარა. ამათგან 4 უინვენტაროა. ერთი სამარხი წყვილადია, ყველა სამარხში მოზარდებია დაკრძალული. ერთ შემთხვევაში სამარხად ჩაფი გამოყენებული. ინვენტარი წარმოდგენილია შავად გაპრიალებული ჯამითა და დოქით, მინისა და პასტის მძივებით, ნიჟარებით. სამარხები ელინისტური ხანით არის დათარიღებული[146]. სოფ. სანიორეში /თელავის რ-ნი/, სამარხი ქვევრი შიგნით ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს სამაჯური, ზარაკი, ოქროს საყურეები ყურძნის მტევნის ფორმისა. სამარხი წელთაღრიცხვათა მიჯნით თარიღდება[147].

სოფ. შალაურთან და მუკუზანში, ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე. სამარხები თარიღდება ახ.წ. I-II სს.[148]. წითელწყაროს რ-ნში, სოფ.

---

144. А.В.Бохочадзе, Н.Г.Мирианашвили, Г.К.Нариманашвили, М.Т. Надибаидзе, К.З.Карая, В.Г.Сургуладзе. Настакисская археологическая экспедиция Мцхетского района. ПАИ в 1980 году. Тб., 1982, с.47, 51.
145. ვ.თოლორდავა. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. /ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში//საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1968, გვ. 69-70.
146. ვ.თოლორდავა. დასახ. ნაშრ., გვ.70-72.
147. ვ.თოლორდავა. საკანდიდატო დისერტაცია, გვ.93.
148. К.Н.Пицхелаури, Ш.Ш.Дедабришвили. Работы Кахетинской археологической экспедиции.

ყოლოთოსთან, 7 ქვევრსამარხი გათხარა. სამარხი ქვევრები მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. ზოგ სამარხ ქვევრს გარედან შემონყობილი ჰქონდა დიდი ზომის თიხის ჭურჭელი; ერთ შემთხვევაში ქვევრის კი ჩაუდგავთ სამარხის გვერდით. ინვენტარი შედგება:თიხის ჭურჭელი - ვარდისფრად გამომწვარი თიხის ჯამები და კოჭობები, ლითონის სამკაულები, რკინის დანის ნატეხები, მძივები - მინის, პასტის, სარდიონისა და გიშრის. ყოლოთის ქვევრსამარხები წელთაღრიცხვათა მიჯნით თარიღდება[149]. თელავის რაიონში სოფ. მარჩხაანთან აღმოჩენილი ქვევრსამარხებიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნით თარიღდება[150]. მოიპოვება ცნობები ქვევრსამარხთა აღმოჩენის შესახებ ჩოჩეთში, ნაფარეულში, ხაშმში, ღრმაღელეში[151], თელავში, მარჩხაანში, გორში[152], ახამეთსა და ძეგვში[153].

---

149. ვ.თოლორდავა. დასახ. ნაშრ., გვ. 74.

150. ა.ბოხოჩაძე. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1963, გვ. 132.

151. გ.ცქიტიშვილი. მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით /უძველესი დროიდან ახ. წ. III საუკუნემდე/. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, ნაკვეთი II, 1959, გვ. 139.

152. ვ.თოლორდავა. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძ.წ. III-I სს. მსკა III, თბ., 1963, გვ. 137.

153. ა.ბოხოჩაძე. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1963, გვ. 132-133.

## ქვევრსამარხები სომხეთში

თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე ქვევრსამარხების სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. პირველი ქვევრსამარხები 1904-1908 წწ. გათხარა ე.ლალაიანცმა სევანის აუზში. აღმოჩენილია ერთქვევრიანი და ორქვევრიანი სამარხები. სევანის ერთქვევრიანი სამარხები მიწაში ვერტიკალურად ყოფილა ჩადგმული, პირზე ქვიშაქვის ქილა ჰქონდათ მიფარებული. სამარხების უმეტესი ნაწილი უინვენტაროა. ერთქვევრიან სამარხებს ე.ლალაიანცმა მიაკვლია სოფლებში: ნორადუზში, კიუზაჩიხში, ვერინ ლანანლულში, ორდაკლუში, ნორბაიაზეთში, ზარივში.[154] ორი ქვევრისაგან შედგენილი სამარხს ე.ლალაიანცმა მიაკვლია სოფ. ნორადუზთან; სამარხი შედგენილია ორი ერთმანეთთან ყელით დაკავშირებული ქვევრებისაგან. ორქვევრიანი სამარხები სომხეთში სხვა პუნქტებშიც დადასტურდა, ასე მაგალითად, 1935 წელს ერევნის მახლობლად, შუხინ-თეფეზე, 1959 წელს გარნისში.[155]

სევანის აუზში ქვევრსამარხები 70-იან წლებშიც დადასტურდა. კერძოდ, კარჩახპიურის ნამოსახლარის გათხრების დროს, სათავსების იატაკში ჩაშვებული იყო რამდენიმე უინვენტარო დერგსამარხი, რომლებშიც ბავშვები იყო დაკრძალული. სამარხები ძვ.წ. II-I სს. არის დათარიღებული[156].

ქვევრსამარხები მიკვლეულ იქნა აგრეთვე ისტორიულ ვაგარშაპატის ვრცელ ტერიტორიაზე, კერძოდ, ანასნაცავის ბორცვთან - 1931 წ.

---

154. Е.А.Лалаянц. Раскопки погребении в Советской Армении. Ереван, 1931, с. 67 /на арм, языке/.
155. "Советская Археология", № 8, 1937, Хроника, с. 264. Ж.Д.Хачатрян. Гарни У. Античный некрополь. Ереван, 1976, с.19-25.
156. И.Карапетян. Раскопки в Карчахпиуре, 1975-1976, г.г. Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследовании в Армянской ССР /1975-1976/.Ереван, 1977,с.30.

ზვარტნოცთან – 1968 წ. და ეჩმიაძინში – 1974. ვაგარშაპატის ქვევრსამარხთა მრავალრიცხოვან ინვენტარში ყურადღებას იპყრობს სოლენის ტიპის კრამიტი, რომელიც სამარხად გამოყენებული ქვევრის პირზე იყო მიფარებული /ეჩმიაძინი/. კრამიტზე დატანილია დამღა, რომელზეც ლათინურად იკითხება – "მეოთხე სკვითური ლეგიონი". როგორც ცნობილია, აღნიშნული ლეგიონი 114 – 115 წლებში სომხეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ვაგარშაპატში აღმოჩენილი ქვევრსამარხები დათარიღებულია ახ.წ. I–II საუკუნეებით /არასნავაზი, ეჩმიაძინი/ და I ახ.წ. I–IV საუკუნეებით /ზვარტნოცი/.[157]

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს ქვევრსამარხთა აღმოჩენისა სომხეთში წარმოადგენს გარნისი, სადაც 15 ქვევრსამარხი იქნა აღმოჩენილი; ამათგან ორი სამარხი ქვევრი მიწაში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, დანარჩენი 12 კი – ჰორიზონტალურად ჩაწვენილი. მოზარდებისათვის განკუთვნილი ორი სამარხი შედგებოდა ქვევრის ორი მოზრდილი ნატეხისაგან. სამარხად გამოყენებულია ჩვეულებრივი საღვინე ქვევრები. მიცვალებულის ჩასასვენებლად ქვევრს მხრის ნაწილს ამოამტვრევდნენ, მიცვალებულს ქვევრში მოათავსებდნენ, ხოლო ამომტვრეულ ნაწილს თავის ადგილას აფარებდნენ. ქვევრებს პირზე ქვის ფილა ჰქონდათ მიფარებული. მიცვალებულები იკრძალებოდა ხელფეხმოკეცილი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე /გამონაკლისს წარმოადგენს 122-ე სამარხი, რომელშიც მიცვალებული ქვევრის სიგანეზე, მუცლის სიფართეში იყო დაკრძალული/. ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია ლითონის, მინის, ძვლის სამკაულებით, ვერცხლის მონეტებით; თიხის ჭურჭელი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. ერთ სამარხში აღმოჩნდა რკინის შუბისპირი.

---

157. А.Калантар. Раскопки древнего Вагаршапата. Ереван, 1935, с. 40-41 /на арм. языке/. Р.Торосян, С.Керкашарян. Археологические новинки из Эчмиадзина. Историко-филологически журнал , 1971, № 4, с. 37 /на арм. языке/: Ж.Д.Хачатрян, Р.М.Торосян. Материалы из Северо-восточного некрополя Вагаршапата. Вестник общественных наук, № 5, Ереван, 1976, с. 99./на арм. языке/.

ზოგ შემთხვევაში ინვენტარის ნაწილი ქვევრის გარეთ, მის გარშემო შემოწყობილ რიყის ქვებში დასტურდება. 14 ინვენტარიან სამარხში სულ 8 თიხის ჭურჭელი იყო – 3 ჯამი, 2 ქოთანი და 3 კოჭობი; ნუმიზმატიკური მასალა გარნისის ქვევრსამარხებში 4 მონეტით არის წარმოდგენილი, აქედან 39-ე და 43-ე სამარხებში ოქტავიანეს ვერცხლის დენარები აღმოჩნდა, 101-ე სამარხში ალექსანდრე მაკედონელის ვერცხლის მონეტა, 119-ე სამარხში ოროდ II-ის /ძვ.წ. 35-14 წ.წ./ სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომელიც მიცვალებულს პირში ედო. ნუმიზმატიკურ მასალაზე, აგრეთვე, ინვენტარის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე გარნისის ქვევრსამარხები ძვ.წ. III-I სს. არის დათარიღებული[158].

ამიერკავკასიაში ქვევრსამარხთა კულტურის კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ვანის სამეფოს ერთ-ერთ მსხვილ ცენტრს არგიშთიხინილს. 1964-1968 წ.წ. სოფ. ნორ-არმავირთან, აგრეთვე თვით ნაქალაქარის შენობებში გამოკვლეული იქნა 7 ქვევრსამარხი, რომელთაგან უძველესი ა.მარტიროსიანმა ძვ.წ. VIII საუკუნით დაათარიღა[159].

პირველი კარასსამარხი 1964 წლის შემოდგომაზე აღმოჩნდა, ამასიის გზის მარჯვენა განაპირას, წმ.დავითის ბორცვის მახლობლად, სოფ. ნორ-არმავირთან, სამარხად გამოყენებული ურარტული დერგი ორმოში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, დერგში ბავშვი იყო დაკრძალული. სამარხში ნაპოვნია: წითლად ანგობირებული დოქი, ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალღეროს გველის თავებით შემკული წყვილი სამაჯური და ბრინჯაოს ნახევარმთვარის ფორმის ბოლოებმესქელებული წყვილი საყურე. აღნიშნული ინვენტარისა და თვით სამარხად გამოყენებულ დერგზე დაყრდნობით სამარხი ძვ. წ. VIII საუკუნით არის დათარიღებული. იმავე წელს არგიშთიხინილის ნასახლარის № 2 სახლის მე-4 სათავსის იატაკის ქვეშ, ურარტულ კულტურ ფენაში აღმოჩნდა კიდევ ერთი კარასსამარხი, რომელიც [illegible] და [illegible] ცხოველის დამწვარ ძვლებს შეიცავდა. სამარხი მისი სტრატიგრაფიული მდებარეობის მიხედვით ძვ.წ. V-III სს. არის დათარიღებული. პირ-

---

158. Б.П.Аракелян.Гарни II. Ереван,1957,с.13-131 ; Ж.Д.Хачатрян. Гарни V. Ереван,1976., с.7-130.

159. А.А.Мартиросян . Аргиштихинили. Вып.I,Ереван,1974,с.50-55.

ველი სამარხის მახლობლად 1965 წელს კიდევ ორი სამარხი გაითხარა; ამათგან ერთი კრემაციული, მეორე კი ინჰუმაციური აღმოჩნდა. მეორე სამარხისათვის გამოყენებული ლერგი ხელით არის ნაძერწი, გარე კედლებზე ეტყობა ცეცხლის კვალი. სამარხში ბავშვის ძვლების გარდა არაფერი აღმოჩენილა. სტრატიგრაფიულად სამარხის თავზე იყო ურარტული სახლის კედელი და დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმის კულტურული ფენა, რომელიც ძვ.წ.VIII ან ძვ.წ.VII საუკ. დასაწყისის ურარტულ მასალას შეიცავდა. 1968 წელს სოფ. ნორ-არმავირის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას გაითხარა კიდევ ერთი ქვევრსამარხი. ამ სამარხიდან ა.მარტიროსიანმა გამოაქვეყნა ორი თიხის ჭურჭელი, რომლებიც მან ძვ.წ.VIII ს. მიაკუთვნა და ივარაუდა მათი საკულტო დანიშნულება. ზემოაღწერილი სამარხიდან 100-150 მეტრის დაშორებით კიდევ ერთი სამარხი გაითხარა. სამარხად გამოყენებული იყო მონოთალოდ გამომწვარი კარასი. მასში წყვილი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული, მოზრდილი ადამიანი და ბავშვი. ისინი ხელფეხმოკეცილი, თითქოს ჩაზუცებულები იყვნენ დასვენებული. ა.მარტიროსიანის აზრით, ეს სამარხი შესაძლოა დედა-შვილს ეკუთვნოდეს, ე.ი. ოჯახურ სამარხს წარმოადგენს. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ: თიხის ორყურა თასი, ჯამი, სპილენძის სპირალი და ძეწკვი, ბრინჯაოს წყვილი საყურე რგოლი, მინიატიურული მშვილდსაკინძი, მძივები - ცისფერი და თეთრი პასტის, სერდოლიკისა. ამ სამარხსაც სტრატიგრაფიული მდებარეობა ისეთივე აქვს, როგორც წინა სამარხებს, მის თავზე აღმართულია ურარტული სახლის ნანგრევები. აღწერილი სამარხიდან ჩრდილო-დასავლეთით 400-500 მეტრის დაშორებით სააშენებლო სამუშაოების დროს აღმოჩნდა კიდევ ერთი კარასსამარხი. კარასი ნიადაგში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, პირზე თიხის ჯამი ეფარა. ინვენტარიდან გადარჩა ბრინჯაოს მრგვალი სადა სამაჯურების ფრაგმენტები და განივკვეთში ბრტყელი ბედაპირგრავირებული წყვილი სამაჯური, რომლებსაც ბოლოები გველის თავებით აქვთ შემკული[160].

---

160. ა.ა.მარტიროსიანი. დასახ.ნაშრ., გვ. 51, 55.

50-იან წლებში, დვინის გათხრების დროს, ბაზილიკის აღმოსავლეთ ნაპირთან და მდ. [illegible] კალაპოტში გაითხარა 15 ქვევრსამარხი. ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია ქვის სამკაულებით; მინის, სერდოლიკისა და აქატის მძივებით; ვერცხლისა და ბრინჯაოს წვრილი სამკაულებით. ინვენტარზე დაყრდნობით დვინის მახლობლად აღმოჩენილი ქვევრსამარხები ახ. წ. I – II სს. არის დათარიღებული[161].

ქვევრსამარხთა აღმოჩენის ფაქტები დადასტურებულია აგრეთვე სოფ. ლიჩკთან. ვერტიკალურად ჩადგმულ სამარხ ქვევრებში მოზარდებია დაკრძალული. სოფ. ვერინ-გეტაშენთან, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი, რომლიდანაც მხოლოდ ორი თიხის ჭურჭელია გადარჩენილი. ლიჩკისა და ვერინ-გეტაშენის ქვევრსამარხები ზოგადად ახ.წ. I ს. არის დათარიღებული[162].

ცნობილი ისტორიული არტაშატის ტერიტორიაზე გამოკვლეული იქნა 17 ქვევრსამარხი, რომელთაგან მხოლოდ 6 აღმოჩნდა ინვენტარიანი. სამარხები არტაშატში განლაგებულია VII და VIII ბორცვებზე, სოფ. მირაზთან და სოფ. ნორ-კიარკთან. 6-დან 2 სამარხი ქვევრი მიწაში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, ხოლო 4 ჰორიზონტალურად. ინვენტარი წარმოდგენილია წითლად ან ყავისფრად შეღებილი გაპრიალებული თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს სამაჯურებით, მინის სანელსაცხებლე ჭურჭლით. ინვენტარზე დაყრდნობით, არტაშატის ქვევრსამარხები ძვ.წ. I ს. და ახ.წ. II სს. არის დათარიღებული[163].

---

161. К.Г.Кафадарян. Город Двин и его раскопки. Ереван, 1952, с.82. /на арм. языке/; К.Б.Кафадарян. Языческие погребения из Двина. Историко-филологический журнал, № 4, 1974, с.35. /на арм. языке/.
162. Ж.Д.Хачатрян, А.Г.Каландарян. Античные и средневековые памятники Мартунинского и Вартенисского района. Вестник общественных наук АН Армянской ССР, № 1, 1972, с. 61-62.
163. Ж.Д.Хачатрян. Результаты раскопок УП Арташатского холма в 1973-1975 гг. Вестник общественных наук, № 8, 1978, с.55-58; Ж.Д.Хачатрян, А.Г.Канецян. Раскопки в Арташате. Археологические открытия 1973 г. М., 1974, с. 460-461.

1971–1976 წლებში საინტერესო მასალა გაითხარა ოშაკანის ანტიკური ხანის სამაროვანზე. სხვადასხვა ტიპის 41 სამარხს შორის 7 ქვევრსამარხი აღმოჩნდა. სამარხად გამოყენებულია მეურნეობაში უვარგისი, მწყობრიდან გამოსული ქვევრები, ერთ შემთხვევაში მიცვალებული დაკრძალულია სადღვებელში. მიცვალებულის ქვევრში ადვილად მოსათავსებლად, სამარხ ჭურჭელს აცებავდნენ პირ-ყელის არეს, შემდეგ მოჭრილ ნაწილს თავის ადგილას აფარებდნენ ან ქვევრის გვერდით დებდნენ. ქვევრსამარხები ჩადგმულია როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მე-19 , 37-ე და 41-ე ქვევრსამარხები, რომლებიც ქვიშაქვის ფილებით შედგენილ ქვაყუთებშია ჩადგმული და ასეთივე ფილებით გადახურული; 38-ე ქვევრსამარხისათვის კი ქვაყუთში ჩადგმის შემდეგ წრიულად შემოუვლიათ მოზრდილი ქვები, კრომლეხის მსგავსად. ოშაკანის ქვევრსამარხები ძვ.წ. IV–III სს. არის დათარიღებული[164]. ამ სამარხებს ამიერკავკასიაში ჯერჯერობით ანალოგიები არ მოეძებნება.

1977 წელს გათხრები წარმოებდა სოფ.შირაკავანთან, სადაც ნამოსახლართან ერთად გამოვლინდა სამაროვანიც, რომელზეც 30-ზე მეტი სამარხი გაითხარა, მათ შორის ქვევრსამარხებიც, რომლებიც ბავშვებისა და მოზარდების ძვლებს შეიცავდა; უშუალოდ სამარხი ჭურჭლის გვერდით დადასტურებულია ძაღლების თანადაკრძალვა. შირაკავანის ქვევრსამარხები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით არის დათარიღებული[165].

ასეთია სომხეთის სსრ ტერიტორიაზე 1904 წლიდან 1980 წლამდე გათხრილი და შესწავლილი ქვევრსამარხების მნიშვნელოვანი ჯგუფი. რასაკვირველია, ქვევრსამარხთა კულტურის უფრო ფართოდ, კავკასია – ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით კვლევისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება გავითვალისწინოთ ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე, რომლის ნაწილი დღეს თანამედროვე თურქეთში შედის, აღმოჩენილი ქვევრსამარხები.

---

164. С.Есаян, А.Калантарян. Античный некрополь Ошакана. Вестник общественных наук АН Арм. ССР, № 12, 1976, с.27-40.

165. Г.О.Караханян, Ф.И.Тер-Мартиросов. Раскопки у сел.ШИРАКАВАН. Археологические открития 1977 года. М.,1978, с.506-507.

## ქვევრსამარხები აზერბაიჯანში

მიცვალებულის ქვევრში ანუ ქილაში დაკრძალვის წესი, თითქმის მთელი თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა გავრცელებული.

პირველი ცნობები ქვევრსამარხთა შესახებ აზერბაიჯანში გასულ საუკუნის მიწურულს გამოქვეყნდა. 1895 წელს ელიზავეტპოლის გუბერნიის შუშინოს მაზრაში, ყარაბულახის მიდამოებში ე.რესლერმა მიაკვლ ქვევრსამარხთა სამაროვანს[166].

1897 წელს ე.რესლერმა ყარათეფეში, მდ. კარკარჩაის ნაპირას მიაკვლია ვერტიკალურად ჩადგმულ სამარხ ქვევრებს[167].

1926 წელს ი.აზიმბეკოვი სოფ. იარდიმლისთან დაზვერვით გათხრებს აწარმოებდა; მან ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან მიიღო ცნობები იქ ჯერ კიდევ 1915 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხის შესახებ. სამარხი ორი ერთმანეთთან პირებით დაკავშირებული ქვევრისაგან შედგებოდა, ი.აზიმბეკოვისათვის ცნობილი გახდა, აგრეთვე, ქვევრსამარხების შემთხვევით აღმოჩენის შესახებ ლამერ-კუნის მიდამოებში და სოფ. გარა-ბაზართან[168].

1927 წელს ვ.სისოევმა ლაჩინში გათხარა რამდენიმე ქვევრსამარხი[169].

1927 წლის გაზაფხულზე ა.ალეკპეროვმა და ა.კარამოლომ მილის ველზე, ყარათეფესთან, გიაურ-არხას ნაპირას გათხარეს ქვევრსამარხი;

---

166. Э.А.Реслер. Отчет о раскопках в Шушинском уезде ОАК за 1895 г., СПб., 1897, с. 158.

167. Э.А.Реслер. Отчет о раскопках в Елизаветопольской губернии. ОАК за 1897 г., СПб., 1900, с.155-156.

168. И.Азимбеков. Древности Ленкоранского края. Изв. Азерб. археологического комитета. Вып. II, Баку, 1926, с.74-75, 78-82.

169. В.М.Сысоев. Лачин. Изв. Азкомстариса, № 33, Баку, 1927.

ქვევრსამარხები დადასტურდა აგრეთვე მუმურლუტეფეს ფერდობებზე, სოფ. ეფეცლისთან[170].

1927 წელს დაზვერვითი სამუშაოების დროს სოფ. ივანოვკასთან /გეოკჩაის რ-ნი/ აღმოჩენილ ნაქალაქარის ტერიტორიაზე ე. პახომოვმა გათხარა რამდენიმე ქვევრსამარხი. სამარხად გამოყენებული იყო დიდი ზომის /ჩ-170-180 სმ/ საღვინე ქვევრები[171].

იმავე წელს სოფ. ასკერანის მიდამოებში, მინის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი, რომელშიც მიცვალებულის ძვლები და მძივები აღმოჩნდა[172].

1929 წელს საძიებო ექსპედიციამ ბარდა-ტერტერ-განჯაში, სოფ. გარგუჯაბთან, მდ. კარაჩაის მარცხენა სანაპიროზე აღმოაჩინა ქვევრსამარხთა ჯგუფი. ინვენტარის შემცველი ორი სამარხი გამოდგა. მიცვალებული პირველ ქვევრში ხელფეხმოკეცილ პოზაში, მარცხენა გვერდზე ესვენა. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ჭვირულტარიანი მახვილი. ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი სასაფეთქლე რგოლები და მინისა და პასტის მძივები. მეორე სამარხში მიცვალებული ხელფეხმოკეცილ პოზაში ესვენა, თავი უკან ჰქონდა გადაგდებული, თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი და მძივები. თითქმის ყველა სამარხ ქვევრს გარედან შემოწყობილი ჰქონდა ერთი ან ორი იალოულოთეფეს კერამიკის მსგავსი თიხის ჭურჭელი[173].

---

170. А.К.Алекперов. Материалы по археологии и этнографии Азербайджана. Вып. IУ, Баку, 1927.

171. А.Алекперов. Кувшинные погребения в Азербайджанской ССР, с. 31.

172. Д.Александрович, И.Азимбеков, В.Сысоев. Евлах-Шуша. Изв. Азкомстариса, вып. П, 1987.

173. А.Алекперов. Указ. соч., с. 31-32.

1928-1930 წწ. მუღანის ველზე სამელიორაციო სისტემის მშენებლობის დროს, სოფ. ჯაფარხანთან დაზიანდა სამაროვანი, რომელშიც ქვევრსამარხებიც დადასტურდა. მიცვალებულები ქვევრებში ხელფეხმოკეცილ პოზაში ესვენა. ერთი ქვევრსამარხი ნცვილადი გამოდგა. სამაროვანი სოფ. ჯაფარხანის აღმოსავლეთით 2 კმ-ის დაშორებით, მდ. არაქსის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს[174].

1935 წელს მაუმიანის რ-ნში მინის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. სამარხში ნაპოვნია ოქროსა და ბრინჯაოს საყურე რგოლები[175].

მდიდარი მასალა გამოვლინდა 1935-1950 წლებში მინგეჩაურში. მინგეჩაურის სამაროვანი განლაგებულია ქ. ხალდანის დასავლეთით 18 კმ-ის დაშორებით და სოფ. მინგეჩაურის ჩრდილო-დასავლეთით 5 კმ-ის დაშორებით, ქ. მინგეჩაურის მიმდებარე ტერიტორიაზე. ქვევრსამარხები აღმოჩენილია მდ. მტკვრის ორივე სანაპიროზე. სულ მინგეჩაურში 300-ზე მეტი ქვევრსამარხი გაითხარა. მიცვალებულები მოზრდილ ქვევრებში იკრძალებოდნენ /რ-120-205, მუცლის დმ. - 80 სმ/. ზოგიერთ სამარხ ქვევრს ძირზე დატანილი აქვს მრგვალი ნახვრეტი. მოზარდები და ბავშვები, ყველა შემთხვევაში, იკრძალებოდა, სამეურნეო დანიშნულების დერგებში /რ-45-100 სმ-მდე/, ე.ი. სამარხად გამოყენებულ ჭურჭელში გამოიყოფა ორი ჯგუფი: მოზრდილ მიცვალებულთათვის - ქვევრები, მოზარდებისა და ბავშვებისათვის - დერგები. სამარხი ქვევრის მინაში ჩასადგმელად ითხრებოდა სპეციალური ორმო, რომელსაც ოვალური მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმა ეძლეოდა. გამზადებულ ორმოში ქვევრი ჰორიზონტალურად იდგმებოდა. სამარხად გამოყენებული ქვევრები თანაბრად არის გამომწვარი,

---

174. Т.С.Пассек. Джафарханский могильник. Археологические разведки в Муганской степи. ВДИ № 2, 1946, с. 169-175.

175. СА, № 2, 1935, хроника, с. 237.

პირი მრგვალი აქვს, მასიური, ყელი დაბალი, მხრები დაქანებული, მუც-ლი გამობერილი, ძირისკენ შევიწროებული, ძირი ბრტყელი. ზოგიერთი მათ-განი შემკულია რელიეფური სარტყელებით. მიცვალებულები იკრძალებოდნენ ხელფეხმოკეცილ პოზაში, უმეტეს შემთხვევაში მარცხენა, იშვიათად მარ-ჯვენა გვერდზე; თავი, როგორც წესი, მიმართული ჰქონდათ ქვევრის პი-რისაკენ, ფეხები კი – ძირისაკენ. მიცვალებულების ქვევრში ჩასასვე-ნებლად, ზოგჯერ ქვევრს პირყელის ან ძირის ნაწილს ამტვრევდნენ. ჩა-ტანებული ინვენტარის უმეტეს ნაწილს თიხის ჭურჭელი შეადგენს, რომლე-ბიც გვხვდება როგორც სამარხ ქვევრში, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ. აღმოჩენილია: მოზრდილი მილაკისებრი სადინარიანი ხელადები; დოქები – მათ შორის სამტუჩაპირიანი /ოინოხოას ტიპის/; ჯამები, ფინჯნები; სა-საპალნე და ხელსაკიდი მათარები; ლარნაკები – ერთფეხა ან სამფეხა; თიხის ჭურჭლის უმეტესობა ხელით არის ნაძერწი. გამოირჩევა ზო-ომორფული ჭურჭლის ჯგუფი /ვერძის, ცხენისა და სხვა ცხოველების ფორ-მისა/. კერამიკულ ნაწარმს მიეკუთვნება აგრეთვე კვირისთავები, პატარა ბორბლები, სანაფები, ადამიანის სარიტუალო ფიგურები, მეტწილად ქალისა. კერამიკული ნაწარმის შემდეგ მინგეჩაურის ქვევრსამარხთა ინვენტარის მნიშვნელოვან ნაწილს ლითონის სამკაულები შეადგენს. აღმოჩენილია: ხე-ლისა და ფეხის სამაჯურები, ბეჭდები, საბეჭდავი ბეჭდები, საყურე და სასაფეთქლე რგოლები, ბალთები, ხაცისულეები, ზარაკები, ცხოველების ფიგურები, ლილაკები და სხვ. სამკაულები დამზადებულია ბრინჯაოს, რკი-ნის, ვერცხლისა და იშვიათად ოქროსაგან. განსაკუთრებულად გამოირჩევა ბრინჯაოს განივკვეთში მრგვალი ღეროს სამაჯურები, რომლებიც ზოგჯერ გველის თავებით არის შემკული. ასეთი სამაჯურების რიცხვი ცალკეულ სა-მარხებში 22-დან 42-მდე აღწევს. მრავალფეროვანია აგრეთვე საბრძოლო იარაღის ასორტიმენტი – 200-დან 30 ქვევრსამარხში დადასტურდა რკინის იარაღი. აღმოჩენილია: დანები, სატევრები, მახვილები, შუბისა და ისრის

პირები, საბრძოლო სამკაპა შუბისპირები, ხელშუბისპირები. საბრძოლო იარაღთან ერთად ქვევრსამარხებში სამეურნეო იარაღიც აღმოჩნდა: სასხლავი დანები, ნამგლები, მაკრატლები და სხვ., აგრეთვე რკინის მასიური კანდელაბრები. ფართოა მინის ნაკეთობათა ასორტიმენტი, აღმოჩენილია სხვადასხვა ფერის სარელსაცხებლე [illegible]კონები, ფინჯნები, კათხები და სხვ.[176]

ნუმიზმატიკური მასალა წარმოდგენილია შემდეგი მონეტებით: არშაკიდების – ფრაატ III-დან ოროდ I-მდე; რომაულები – ავგუსტუს, რესპუბლიკის და ტიგრანიდების მონეტები[177].

სამარხად განკუთვნილ ქვევრებს პირზე რიყის ქვა, ალიზის აგური ან სხვა მოზრდილი ჭურჭლის ნატეხი ეფარა. მინგეჩაურში და საერთოდ, მთელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ხშირად დასტურდება ქვევრსამარხის გვერდით საკულტო კოცონის კვალი. როგორც ვარაუდობენ, ასეთი კოცონები ენთებოდა საფლავის ბოროტი სულებისაგან განსაწმენდად, მსხვერპლშეწირვისთვის ან ალაპის გასამართად[178].

ქვევრსამარხთა ინვენტარზე, განსაკუთრებით ნუმიზმატიკურ მასალაზე დაყრდნობით, მინგეჩაურის ქვევრსამარხები ძვ.წ. II–I ახ. წ. I–II სს. არის დათარიღებული[179].

1938 წლის გაზაფხულზე, სოფ. კალაგიასთან /ისმაილის რ-ნი/, ე.პახომოვმა გათხარა ქვევრსამარხები, რომლებიც შეიცავდა თიხის ჭურჭელს, რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროსა და მინის სამკაულებს. სოფ. კალაგიასთან ქვევრსამარხთა თანადროული ნამოსახლარებიც დადასტურდა. ექსპედიციამ ქვევრსამარხებს მიაკვლია აგრეთვე ველახიდან – ბარდაში

---

176. С.М.Казиев. Альбом кувшинных погребений Мингечаура. Баку, 1960, с.18-25.
177. Е.А.Пахомов. Монеты Мингечаура. МКА, т.П, 1951.
178. С.М.Казиев. Указ. соч., с. 20.
179. С.М.Казиев. Альбом кувшинных погребений Мингечаура, с.19.

მიმავალ გზატკეცილის მე-9 კილომეტრზე შაუმიანის სამელიორაციო სისტემის ტრასებზე, სოფ. გარაგუჯახში, სადაც ადრეც აღმოჩნდა ქვევრსამარხთა ჯგუფი. ქვევრსამარხები აღმოჩნდა აგრეთვე აგჯაბედის რაიონული ცენტრის მახლობლად, სადაც სამარხებში წითლად გამომწვარი მოხატული კერამიკა დადასტურდა[180].

1951 წელს ქვევრსამარხები აღმოჩნდა ნახიჩევანის ასსრ-ში, სოფლებში: კომა-ღიზა, ნაზარაბადსა და აზნაბიურდში. სოფ. კომა-ღიზაში აღმოჩნდა მიწაში ჰორიზონტალურად ჩაწვენილი, წითლად გამომწვარი სამარხი ქვევრი. ქვევრი სადა ზედაპირიანია, პირი დაცული ჰქონდა წითლად გამომწვარი თიხის ლამბაქით. სოფ. ნაზარაბადში მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ორი ქვევრსამარხი. სოფ. აზნაბიურდი ნახიჩევანიდან ჩრდილო-დასავლეთით 36 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. იქ საკარმიდამო ნაკვეთზე, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა სამი ქვევრსამარხი. წითლად გამომწვარი თიხის ქვევრები მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. სამარხებში აღმოჩნდა: მიცვალებულის ძვლები და თიხის ჭურჭელი. მოგვიანებით, ამავე ადგილას, აზერბაიჯანის სახ. მუზეუმის ანთროპოლოგიურმა ექსპედიციამ კიდევ ერთი ქვევრსამარხი გათხარა. სამარხი ქვევრი მიწაში ვერტიკალურად იყო ჩადგმული. ქვევრი წითლად არის გამომწვარი, პირი მასიური აქვს, გადმოშლილი; მუცლის არე დაზიანებულია, ძირი — ვიწრო. მხრებს ქვემოთ შემოუყვება 7 სმ-ის სიფართის რელიეფური სარტყელი. ინვენტარიდან მხოლოდ დოქებისა და ჯამების ნატეხები გადარჩა[181].

1952 წელს სოფ. კუბა-ხალილში /ისმაილის რ-ნი/, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხთა ჯგუფი. სამარხები

---

180. Е.А.Пахомов. Обследование и раскопки кувшинных погребений Азербайджана. Изв. Аз. ФАН СССР, № 33, 1939, с.70-73.
181. Т.И.Голубкина. Находки кувшинных погребений в Нах.АССР.ДАН Азерб.ССР, т.УП, № 8, Баку, 1952, с.451-453.

შეიცავდა იალოილუთეფეს კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურ-ჭელს[182].

1954 წელს ტ.გოლუბკინამ სოფ.კოშა-დიზაში /ნახჩევანის ასსრ/ კვლავ გათხარა ორი ქვევრსამარხი. მიცვალებულები ძლიერ ხელფეხმოკე-ცილ პოზაში, ქვევრის სიგანეზე დაკრძალული. ინვენტარიდან მხოლოდ რკინის დანა და თიხის ჭურჭლისა და სამკაულების ნატეხები გადარჩა[183].

1958-1974 წწ. არქეოლოგიური ექსპედიცია დ.ა.ხალილოვის ხელმ-ძღვანელობით აწარმოებდა გათხრებს ქ. შემახას მახლობლად, სოფ.ხინის-ლისთან. გათხრების შედეგად გამოვლინდა 80-ზე მეტი ქვევრსამარხი და სამაროვნის თანადროული ნამოსახლარი[184].

1966 წელს სოფ. ელოჯაკის მიდამოებში /იარდიმლის რ-ნი/, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხები. აღნიშნული სამარხებიდან მოპოვებული ნივთები გადაეცა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს. მონაპოვარი წარმოდგენილია 5 ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭლითა და ერთი თიხის კვირისთავით. ერთ-ერთ დოქზე ძეწკვით სვასტიკაა გამოყვანილი. კერამიკაზე დაყრდნობით აღნიშნული სამარხები მოგვარ ახ.წ. III-VI სს. დათარიღდა[185].

1971-1976 წწ. არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა შემახის /"დამწვეული ადგილი"/ სამაროვანზე, რომელიც განლაგებულია სოფ.ბაგი-რლისა და ჯაჯიკარიდლის მახლობლად ქ. შემახიდან 25 კმ-ის დაშორებით. სამაროვანზე გამოვლენილმა ქვევრსამარხებმა /20-ზე მეტი სამარხი/

---


182. О.Ш.Исмизаде.Археологические находки в сел.Куба-Халиллы Исмаиллинского района. ДАН Азерб.ССР, т.УШ,1952, с.629-631.

183. Т.И.Голубкина. Раскопки кувшинных погребений в сел.Коша-Диза. Нах. АССР. ДАН Азерб. ССР, № 9, 1957.

184. Д.А.Халилов. Материальная культура Кавказской Албании /IУ в. до н.э. - III в. н.э. .Докторская диссертация. Баку, 1974, с. 111-127.

185. Ф.Л.Османов. О кувшинных погребениях, найденных в сел.Елоджак Ярдымлинского района /Талышское нагорье/. ДАН Азерб.ССР, т.XXIX, № 8, 1973, с.78.

განსაზღვრეს აზერბაიჯანში ქვევრსამარხთა გავრცელების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. სამარხების თანდართული ნამოსახლარი, შერგიახიდან მოშორებით ადგილ "სახსილი ცახცაში" დადასტურდა. შერგიახის სამაროვანზე სამარხად განკუთვნილი ქვევრები სპეციალურად გათხრილ ოთხკუთხა ორმოებში იდგმებოდა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ქვევრებს პირზე მიფარებული ჰქონდა სხვა მოზრდილი თიხის ჭურჭლის ნატეხები; ერთ შემთხვევაში ამ მიზნისათვის გამოყენებული იყო ქვის ფილა, რომელსაც ლაპიდარული წარწერა იყო ამოკვეთილი /არაბულად/. ხშირ შემთხვევაში სამარხ ორმოში, ქვევრის გვერდით, დადასტურებულია სარიტუალო კოცონის ნაშთები. ქვევრში, როგორც წესი, თითო მიცვალებულს კრძალავდნენ; ხელფეხმოკეცილ პოზაში მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი სამარხი, რომელშიც წყვილი მიცვალებულია დაკრძალული /ქვევრსამარხი № 1, 1976 განათხარი/, სამარხეული ინვენტარი შედგება თიხის ჭურჭლის, ლითონის სამკაულების, მინის ნაკეთობების, მძივებისა და მონეტებისაგან[186].

სამარხად გამოყენებულ ქვევრებს მიწაში 2,1-დან 3,3 მ-ის სიღრმეზე ფლავდნენ. ქვევრები გამომწვარია მუქ აგურისფრად, პირი მრგვალი აქვთ, გადმოშლილი – მასიური, ყელი დაბალი – ცილინდრული, ტანი კვერცხისებრი, ძირი მრგვალი. თიხის ჭურჭელი იდგმებოდა როგორც სამარხი ქვევრის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ქვევრის გვერდით შემოწყობილი ჭურჭლის რაოდენობა მერყეობს 2-დან 4 ცალამდე, ხოლო ქვევრის შიგნით თითო თიხის ჭურჭელია ჩატანებული. ჭურჭლის ერთი ნაწილი დამზადებულია მორგვის საშუალებით, ნაწილი კი ხელით არის ნაძერწი;

---

186. А.Б.Нуриев. Раскопки в Шергяхе близ г.Шемахи. Арх. и этн. изыскания в Азербайджане /1974/. Баку, 1975, с. 48; А.Б.Нуриев. О кувшинных погребениях Шергяха. МКА. т.УП, с. 221.

გვხვდება წითლად, მოყვითალოდ, მონაცრისფროდ და ღია ვარდისფრად გამომწვარი ჭურჭელი, იშვიათია შელებილი ეგზემპლარები. თიხის ჭურჭელი შემკულია ვერტიკალური და ჰორიზონტალური კანელურებით, გეომეტრიული და წიწვოვანი ორნამენტით, გვხვდება სადა ზედაპირიანებიც. თიხის ჭურჭელში გამოირჩევა სამი ძირითადი ჯგუფი: დოქები, ქოთნები და ჯამები. დოქები აღმოჩნდა: მრგვალპირიანი, მილაკსადინარიანი, ცალყურა ან ორყურა; სამცურა, დაბალი ან მაღალი ყელით, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირიანი, ცალყურა დოქები, ქოთნები – აღმოჩენილია გადმოშლილი მრგვალპირიანი, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირიანი, ჯამები აღმოჩენილია: მრგვალპირიანი, ფერდებდაქანებული, ბრტყელძირიანი, განივკვეთში მრგვალი პატარა ყური მიძერწილი აქვთ ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად უშუალოდ პირზე. აღნიშნული ჭურჭლების გარდა, მერგიახის ქვევრსამარხებში გვხვდება აგრეთვე ანტროპომორფული და ზოომორფული თიხის ჭურჭელიც. ლითონის ნაკეთობები მერგიახის ქვევრსამარხებში ძირითადად წარმოდგენილია რკინის დანებით, მახვილებით, ბალთებით, ნამგლებით, ბრინჯაოსა და ვერცხლის სამკაულებით, საკინძეებით, მძივსაკიდებით; აღმოჩენილია აგრეთვე ბრინჯაოს ყურიანი ფიალა. მინის ნაკეთობები ძირითადად შედგება მინის ჭურჭლისაგან – სანელსაცხებლები,ფიალები, ბოკალები; საბეჭდავები – რომლებზეც მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და მცენარეებია გამოსახული. მრავლად არის აღმოჩენილი აგრეთვე მინის, პასტის, მინისებრი პასტისა და ქვის /აქატის/ სხვადასხვა ფორმისა და ფერის მძივები. მდიდარია ნუმიზმატიკური მასალაც; ქვევრსამარხებში ნაპოვნია 139 ვერცხლის სასანიდური მონეტები, რომლებიც ახ.წ. V–VII სს. სასანიდ მეფეების სახელებით არის მოჭრილი. 139-დან 130 მონეტის განსაზღვრა მოხერხდა: 15 მონეტა ეკუთვნის ფეროზს /459–484 წწ./ 1 ვალაშს ან ბალაშს /484–488 წწ./, 50 ქუბადს /488–497 წწ./, 62 ხოსრო I-ს /531–579 წწ./ ერთი ხოსრო II-ს /590–628 წწ./. ზემოთ მოყვანილ მასალაზე დაყრდნობით,

შერგიახის სამაროვანზე გამოკვლეული ქვევრსამარხების ჯგუფი ზოგადად ახ.წ. III–VIII სს. არის დათარიღებული[187]. თარიღი ძირითადად ეყრდნობა ნუმიზმატიკურ მასალას.

1973 წლის გაზაფხულზე გეოკჩაის რაიონში სოფ. არაბჯაბირლიში მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა ქვევრსამარხთა სამაროვანი, რომელიც განლაგებულია დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, სამხრეთიდან მას მირვანის ველი ესაზღვრება, დასავლეთიდან მდ. გეოკჩაი, აღმოსავლეთიდან კი სოფლის მთაგორიანი ნაწილი. სამარხებიდან მომდინარე ინვენტარში პრიორიტეტი ლითონის სამკაულებს ეკუთვნის, აღმოჩენილია: ბრინჯაოსა და ვერცხლის გველის გამოსახულებებით შემკული სამაჯურები, ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროსა და სპილენძის საყური და სასაფეთქლე რგოლები, სერდოლიკის, მინის, მინისებრი პასტისა და ლითონის მძივები. ინვენტარზე დაყრდნობით, აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ ქვევრსამარხები აღნიშნულ სამაროვანზე მხოლოდ ისლამის მოსვლის შემდეგ, ე.ი. არა უადრეს VIII საუკუნისა, წყვეტს არსებობას, სამაროვანი ზოგადად ახ. წ. IV–VIII სს. არის დათარიღებული[188].

1974 წლის ზაფხულში ყარაყობარზე /აგჯაბედის რ-ნი/ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად გამგზავრებულ ექსპედიციას საკვლევ ობიექტზე ბამბის პლანტაცია დახვდა გაშენებული, რამაც გააძნელა იქ სამუშაოების წარმოება. მიუხედავად ამისა, გაიწმინდა 25 ქვევრსამარხი, რომელთაგან 20 დანგრეული, ხოლო 5 სამარხი ხელუხლებელი აღმოჩნდა. სამარხად გამოყენებული ჩვეულებრივი სამეურნეო

---

187. А.Б.Нуриев. О кувшинных погребениях Шерherгяка. МКА, т.VII, с. 228.

188. А.Б.Нуриев, Ф.А.Юсифов. Археологические находки в Геокчайском районе. Арх. и этн. изыскания в Азербайджане /1973/. Баку, 1974, с. 43–44.

ქვევრები მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩაწვენილი. ერთ შემთხვევაში სამარხად გამოყენებულია მოზრდილი ორყურა დერგი, რომელშიც ბავშვია დაკრძალული. სამარხ ჭურჭლებს პირზე თიხის ჭურჭლისავე ნატეხები ჰქონდა მიფარებული, მხარზე ან მუცლის ქვემოთ გაკეთებული აქვს მრგვალი ნახვრეტი. მიცვალებულის დასაკრძალად ქვევრს პირის ან ძირის ნაწილს ამტვრევდნენ. მიცვალებულები ხელფეხმოკეცილ პოზაში იკრძალებოდა – მამაკაცები მარცხენა, ქალები მარჯვენა გვერდზე. სამარხი ქვევრების პირი, რომლებშიც მამაკაცები ესვენა, ჩრდილოეთისაკენ იყო მიმართული, ხოლო ქალებისათვის განკუთვნილი ქვევრები – სამხრეთისაკენ,

მაგრამ ყველა მიცვალებული სახით აღმოსავლეთისაკენ იყურებოდნენ. ინვენტარი შედგება თიხის ჭურჭლის, ლითონის სამკაულების, იარაღისა და მძივებისაგან. 5 შეცნაკლებად კარგად შემონახული სამარხიდან 4 სამარხი ქვევრის გვერდით თიხის ჭურჭელი იყო ჩაშვებული. ინვენტარი სამარხ ქვევრებში ძირითადად მიცვალებულის თავთან, მკერდის არეში ან ფეხებთან ელაგებოდა[189]. თიხის ჭურჭლის უმეტესი ნაწილი წითლად არის მოხატული, ზედაპირზე ამოღარვით ან [illegible] მეშვეობით შემკული ჭურჭელიც. გამოიყოფა: დერგები, ხელადები, დოქები, ქოთნები, კოჭობები, ჯამები. დერგები – სულ ორი ცალი აღმოჩნდა, ორივე მათგანი სამარხი ქვევრის გარეთ იყო მიწაში ჩაშვებული. ერთი მათგანი ამფორისებური ფორმის დერგია, მონაცრისფრო გამომწვარი თიხისა; მეორე დერგი კარაქის სადღვებელს წარმოადგენს; გამომწვარია შავად. ხელადები სულ ოთხი ცალია აღმოჩენილი. ოთხივე სამარხი ქვევრის გარეთ აღმოჩნდა. ერთი მათგანი გამომწვარია მოვარდისფროდ, ერთი – მონაცრისფროდ, ორიც აგურისფრად. ხელადებს პირი მრგვალი აქვთ, გადმოღილი, ყელი დაბალი – ვიწრო, მხრები დაქანებული, მუცელი მრგვალი –

---

189. Ф.Л.Османов, А.Ш.Ахвердиев. Разведки в Агджабединском районе, Археологические открытия 1975 года. М.,1976, 474.

[illegible]ალალი, ძირი ბრტყელი. ოთხივეს მხარის არეში გაკეთებული აქვს მილაკისებრი საძირარი, პირსა და მხარზე მიძერწილი აქვთ განივკვეთში მრგვალი ან ბრტყელი ყური. ორი მათგანი მოხატულია წითელი საღებავით. დოქები – ნაცრისფრად, ვარდისფრად ან მოყვითალოდ გამომწვარი თიხისა. ფორმების მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: სამკუთხა პირიანი ოინოხოას ტიპის საღვინე დოქები, მათ ყელი დაბალი ან მაღალი აქვთ, მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი, განივკვეთში მრგვალი ყური მიძერწილი აქვთ პირსა და მხარზე; სუსტად გამოხატული სამკუთხა პირიანი დოქები, ყელი დაბალი აქვთ, მუცელი გამობერილი, ძირი ბრტყელი, განივკვეთში მრგვალი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, ან ჰორიზონტალურად არის განლაგებული მუცლის შუა ნაწილში. დოქები მოხატულია წითელი საღებავით შესრულებული მარტივი გეომეტრიული ორნამენტით. მრგვალი გადმოშლილპირიანი დოქები, ყელი დაბალი აქვთ, მუცელი მრგვალი – დაბალი ან მაღალი, ძირი ბრტყელი, განივკვეთში მრგვალი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე ან განლაგებულია მუცლის შუა ნაწილში ჰორიზონტალურად. გვხვდება წითელი საღებავით მოხატული ცალები; ბოლო ჯგუფს შეადგენს ერთი დოქი, რომელიც მე-2 სამარხში აღმოჩნდა, პირი მრგვალი აქვს, გადმოშლილი; ყელი ვიწრო, მომაღლო, მუცელი მრგვალი – დაბრტყელებული, ძირი ბრტყელი. განივკვეთში მრგვალი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. ყელზე წნევით ამოყვანილია ორი პარალელური სარტყელი, ძირზე კი მრგვალი ჩაღრმავება. მუცლის შუა ნაწილში გვერდიდან გაკეთებული აქვს მილაკისებრი საძირარი. ქოთნები – ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, სულ 5 ცალია ნაპოვნი. ყველა მათგანს პირი მრგვალი აქვს, გადმოშლილი; ყელი დაბალი, მუცელი მრგვალი ან დაბრტყელებული, ძირი ბრტყელი. ერთ ქოთანს პირსა და მხარზე მიძერწილი აქვს განივკვეთში ბრტყელი ყურები. ორი ქოთანი მოხატულია წითელი საღებავით. ერთ-ერთი ქოთნის პირ-გვერდის ნატეხზე გამოწვამდე დატანილია

ნნევით რგოლებისაგან შედგენილი ორი რიგი, რომელთა შორის კიდევ ერთი რიგია განლაგებული, უფრო მოზრდილი. დამცამშული რგოლებისა ჯვრის გამოსახულებით. კოჭობები – მონაცრისფრო და შავად გამომწვარი თიხისა, სულ 2 ცალია აღმოჩენილი; მონაცრისფრო გამომწვარ კოჭობს პირი მრგვალი აქვს, გადმოშლილი; ყელი დაბალი – ვიწრო; მუცელი მრგვალი, ძირი ბრტყელი. შავად გამომწვარ კოჭობს პირი მრგვალი აქვს, ყელი დაბალი – ცილინდრული, მუცელი მრგვალი ძირისაკენ შევიწროებული, ძირი ბრტყელი, მხარზე შერჩენილი აქვს ყურის მცირე ნაცები. ჯამები – 15 ცალია სულ ნაპოვნი: ვარდისფრად, მოყვითალოდ, ყავისფრად, შავად, მონითალო ან მონაცრისფრო გამომწვარი თიხისა. ექვსი ჯამი მოხატულია ნითელი საღებავით. ჯამებს პირი მრგვალი აქვს, ფართოდ გადმოშლილი, შესქელებული ან ოდნავ შიგნით ჩაზნექილი. ფერდები დაქანებული, ძირი ბრტყელი ან მომრგვალებული. ჯამებს ზოგ შემთხვევაში პირზე ან პირს ქვემოთ ჰორიზონტალურად მიძერწილი აქვს განივკვეთში მრგვალი პაცარა ყური. თიხის ჭურჭლის გარდა, ყარაყობანის ქვევრსამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე ლითონის იარაღი, სამკაულები და პასტის მძივები. სამკაულებს განეკუთვნება სპილენძის საფეთქლე რგოლები, ასევე სპილენძის ნახევარმთვარისებრი საყურეები; რკინის იარაღი ნარმოდგენილია შუბისპირითა /რომელიც აღების დროს დაიშალა/ და დანით.

ფ.ლ.ოსმანოვი ზემომოყვანილ ინვენტარზე, ძირითადად თიხის ჭურჭლებზე დაყრდნობით, ყარაყობანის ქვევრსამარხებს ძვ.ნ. VI-III სს. მიაკუთვნებს[190]. ჩვენი აზრით, ყარაყობანის ქვევრსამარხები უახლესი მონაცემების მიხედვით, კერამიკული მასალის მრავალი ანალოგიით, აზერბაიჯანის სხვა მასალებთან, შეიძლება ძვ.ნ. IV-III სს. დათარიღდეს.

1974 ნელს საატლის რაიონში, არხის მშენებლობის დროს, სოფ.

---

190. Ф.Л.Османов, А.Ш.Ахвердиев. Разведки в Агджабединском районе. Археологические открытия 1974 года. М.,1975,с.474.

ხანლარკენდში შემთხვევით აღმოჩნდა 4 ქვევრსამარხი. სამარხები დაზიანდა და ამიტომ მხოლოდ სამარხეული ინვენტარია გადარჩენილი: თიხის ჭურჭელი – სამყურა და ოთხყურა დოქები, ბრინჯაოს თავებგახსნილი სამაჯური, სპილენძის თვალბუდიანი ბეჭედი /თვალი დაკარგულია/; ბრინჯაოს ფიგურული საკინძი, მინისა და პასტის მძივები. სამარხები ინვენტარზე დაყრდნობით, აგრეთვე მსგავსებით კატაკომბებში აღმოჩენილ ქვევრსამარხების კომპლექსებთან, ძვ.წ. I–ახ.წ. II სს. არის დათარიღებული[191].

1974 წელს სოფ. ხანმამედლისთან /ბარდობის რ-ნი/, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ქვევრსამარხი. მიცვალებული ხელფეხმოკეცილი პოზაში ესვენა. სამარხში აღმოჩნდა: მოყვითალოდ გამომწვარი სამყურა დოქი; მოყვითალოდ გამომწვარი თიხის დოქი – პირი მრგვალი აქვს გადმოშლილი, ყელი – მაღალი, მუცელი – მრგვალი, ოდნავ დაბრტყელებული, ძირი მრგვალი, განივკვეთში ბრტყელი ორმაგი ყური მიძერწილი აქვს ყელსა და მხარზე. ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჯამის ნატეხები; შავად გაპრიალებული ფეხიანი ჭურჭელი, პასტის მძივები, პართული ვერცხლის დრაქმები ოროდ I-ის /57-37 წწ. ძვ.წ./ სახელით მოჭრილი. სამარხის თარიღი ხსენებულ მონეტებზეა დაყრდნობილი, ოლონდ მათი გაცვეთილობის, ე.ი. ხმარებაში დიდხანს ყოფნის გამო, ქვევრსამარხი ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული[192].

1975 წელს აგვისტოს რ-ნში, სოფ.ნიუდისთან ძვ.წ. II–I სს. სამაროვანზე, ორმოსამარხებთან ერთად გაითხარა 4 ქვევრსამარხი. მიცვა-

---

191. Ф.Л.Османов. Находки кувширных погребений в сел.Ханларкенд. ДАН Азерб. ССР, т.XXXI, № 2, 1975, с.106–109.

192. Ф.Л.Османов, А.Раджаби. Кувшинное погребение парфянскими монетами. Археологические открытия 1974 г.,М.,1975, с.475.

ლებულები /ორ შემთხვევაში მცირეწლოვანი ბავშვები/ დაკრძალულია სამჭუ-ალო ზომის სამეურნეო ქვევრებში. ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ჭურ-ჭლით, ლითონის სამკაულებით, მძივებით და იდენტურია აქ აღმოჩენილი ორმოსამარხების ინვენტარისა[193].

1975 წელს კუტკაშენის რ-ნში, კაბალას ნაქალაქარის გათხრე-ბის დროს, ანტიკური ხანის ფენაში გამოვლინდა ერთი ქვევრსამარხი[194]. 1978 წლის გაზაფხულზე, ხანმოკლე დაზვერვითი სამუშაოების დროს, ქ.ბარ-დიდან 6-7 კმ-ის დაშორებით, მის ჩრდილო-დასავლეთით, სოფ. მაცირლის-თან გაითხარა რამდენიმე ქვევრსამარხი. სამარხებში აღმოჩენილია: ლი-თონის სამკაულები – საბეჭდავი ბეჭდები, სამაჯურები, ოქროს საყურე რგოლები, სამი ვერცხლის მონეტა – ორი მათგანი მოჭრილია ძვ.წ.აღრიც-ხვის 30-იან წლებში ანტონიუსის სახელით, ერთი ახ.წ. აღრიცხვის 20--იან წლებში, ავგუსტუს სახელით[195].

ზემოთ მოყვანილი პუნქტების გარდა, ქვევრსამარხები აზერბაი-ჯანის სსრ-ში დადასტურებულია: სოფ.ხოჯავენდში /მდ.კარკარჩაის ნაპი-რას/, შარდუცში /კარაკეპეკთეფეს ბორცვზე, მდ. კურჩაისა და მდ.კარგა-ლარჩაის შორის/, კარათეფეს ბორცვზე, მუღლუთეფეს ბორცვზე, სოფ. მახ-მუდლიში /ზანგელანის რ-ნი/, სოფ. ცაზაკენდში /ჟდანოვსკთან/, სოფ. კირკიჯანში /სტეპანაკერტის რ-ნი/, სოფ. გაროეში /სტეპანაკერტის რ-ნი/, სოფ. კიამაზადინლიში, სულთან-ბუდის ბორცვზე, სოფ. ბოიაცში, სოფ. ლეჩეეში /მირბაშირთან/, ქვემო აზაცაში /მირბაშირის რ-ნი/, ლენინკენდში /ბარდასთან/, სოფ. შამბინზსში /ევლახის რ-ნი/, სოფ.კა-რასაკკალში /საატლის რ-ნი/, სოფ. პირალიში /აქსტაფასთან/, სოფ.დამ-ჯესამანში /კაზახთან/, საჩიათეფეს, ბორცვზე /შამქორთან – თრქვევრი –

193. Ф.Л.Османов, А.Ралжабли, Ф.А.Ибрагимов, А.Ш.Ахвердов.Раскопки в сел.Нюда. Археологические открытия,1975 г.М.,1976, с.504.
194. Г.А.Ахмедов, И.А.Бабаев, Р.Ф.Раширов.Раскопки на античном и средневековом городищах Кабалы.Археологические открития 1975 г. М., 1976, с.493.
195. Ф.Л.Османов, А.Ралжабли. Кувшинные погребения с парфянскими монетами. Археологические открития,1974 г.М., 1975, с.475.

ანი სამარხი/, სოფ. მირობში/ იარღიმლის რ-ნი/, სოფ. ეფლეკლიში/ იარღიმლის რ-ნი/, ღერიკში, შახალლიში, სოფ. მოკუმეკაში /ჯალალა-ბადთან/; პუშკინოში, სოფ. სეიმყოეკაში /პუშკინის რ-ნი/, სოფ. მახნი-ანში /პუშკინის რ-ნი/, სოფ. ბილესუვარში /პუშკინის რ-ნი/, სოფ. შულევმაში /სალდანის რ-ნი/, სოფ. კოჩმაჯუნეში /აგდამის რ-ნი/, სოფ. კოთოვანში /აგდამის რ-ნი/, გილანბოელიში /აგდამის რ-ნი/, ფირაზში /აგდამის რ-ნი/, სოფ. ბარპომაღში /უჯარის რ-ნი/, სოფ. გიავალიში /ახსუს რ-ნი/, სოფ. მოლლაისაკლიში /ისმაილის რ-ნი/, სოფ. უანდამ-ში /კუცკამენის რ-ნი/, სოლცანნუხა /კუცკამენის რაიონი/, ზალამში /კუცკამენის რ-ნი/, ნიჯში /კუცკამენის რ-ნი/, ჩუხურ-კაბალაში /კუცკამენის რ-ნი/, სოფ. კიშში /შეკის რ-ნი/, სოფ. ნოხარი-ჩარდ-აბლიში /ზაქათალა/, სოფ. იანჩაში /გეოკჩაის რ-ნი/, კარამარიამში /გეოკჩაის რ-ნი/; სოფ. ალიაბადში /ნახჩევანის ასსრ/.

* * *

ამრიგად, ამიერკავკასიაში 185 პუნქტში /საქართველოში -84 პუნქტში, აქედან დას. საქართველოში - 52-ში, აღმოსავლეთ საქართვე-ლოში 32-ში; სომხეთში - 26 პუნქტში; აზერბაიჯანში - 75 პუნქტში/ /1400-ზე მეტი ქვევრსამარხია დადასტურებული [საქართველოში - 500 სამარხი/ დას. საქართველო-225, აღმ. საქართველო-275/; სომხეთში - 300-მდე, აზერბაიჯანში - 600-მდე].

გამოიკვეთა ამიერკავკასიაში მიცვალებულის ქვევრში დაკრძალ-ვის შემდეგი სახესხვაობები:

1. სამარხი ქვევრი ორმოში ვერტიკალურად არის ჩადგმული, ჩვე-ულებრივ, როგორც სამეურნეო ქვევრი , ან - თავდაყირა;

2. სამარხი ქვევრი ორმოში ჰორიზონტალურად არის ჩაწვენილი - ანუ ორი ქვევრისაგან შედგენილი სამარხებიც. ზოგი მიცვალებუ-ლი დაკრძალულია ქვევრის მოჭრილ ნატეხზე, ზემოდანაც ქვევრის ნა-

ცები აქვს დაფარებული;

3. სამარხი ქვევრი ჩადგმულია ქვაყუთში. ზოგჯერ ასეთი ქვაყუთის გარშემო რიყის მოზრდილი ქვებია შემოწყობილი – წრიულად.

4. ქვევრსამარხი ჩადგმულია ხის ძელებით გადახურულ ალიზ-აგურით ნაგებ მრავალკუთხა მიწისქვეშა აკლდამებში.

5. ქვევრსამარხი გამართულია კატაკომბის კამერაში.

6. უშუალოდ ქვევრსამარხის გვერდით, სამარხი ჭურჭლის გარეთ, დაკრძალულია კიდევ ერთი მიცვალებული, თავით ან ქვედა კიდურებით ქვევრისაკენ.

ქვევრში მიცვალებულების დაკრძალვის სახესხვაობის ასეთი სიმრავლე შეიძლება აიხსნას ქვევრსამარხებამდე არსებული, აგრეთვე, ქვევრსამარხების თანადროული სხვა ტიპების სამარხების ზოგიერთი ელემენტების შერწყმით ქვევრში დაკრძალვის თითქოს დაკანონებულ წესებთან.

არქაული ჩანს სამარხი ქვევრის გარშემო რიყის ქვების შემოწყობის წესი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობაც მიეცა /ქვევრის მდგრადობის გაუმჯობესება/, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც თვით სამარხი ქვევრია ამოვსებული ქვებით /არკნეთსა და დაბლაგომში გათხრილი ქვევრსამარხი № 4/ ან მიწის ზედაპირზე ქვევრსამარხი აღნიშნულია ქვაყრილით /სევანის აუზში ე.ლალაიანცის მიერ გათხრილი სამარხები/.

ამიერკავკასიაში ქვევრსამარხებისთვის მიწაში მრგვალი, მართკუთხედი ან ოვალური ორმოები ითხრებოდა. ორმოს ამოღების შემდეგ სამარხად განკუთვნილ ქვევრს მომზადებულ ორმოში ჩააწვენდნენ, ან ვერტიკალურად ჩადგამდნენ; მიცვალებულის დასაკრძალად ქვევრს ჰორიზონტალური მდგომარეობის შემთხვევაში პირ-ყელის, გვერდის ან ძირის არეს ამოამტვრევდნენ, ან სიგრძეზე წინასწარ ხერხავდნენ ისე, რომ ქვევრის ქვედა ნაწილზე მიცვალებული მოთავსებულიყო, ხოლო ზედა ნა-

ნილი კი სახურავად დახურულა; ვერტიკალური მდგომარეობის შემთხვე-
ვაში მუცლის არეში ხერხავდნენ ისე, რომ ძირის ნაწილში მიცვალე-
ბული თავსდებოდა, ხოლო ყელ-მხარის ნაწილი ზემოდან ეხურებოდა; თავ-
დაყირა ჩადგმულ ქვევრებში კი, პირიქით, ყელ-მხარის ნაწილი ძირის
ფუნქციას ასრულებდა, ძირისა კი სახურავის.

სამარხი ქვევრის ვერტიკალური მდგომარეობა დამახასიათებელია
საქართველოსა და სომხეთისათვის, განსაკუთრებით კი დასავლეთ სა-
ქართველოსთვის. აზერბაიჯანში ქვევრსამარხის ვერტიკალურად ჩადგმის
რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა /სოფ. აზნაბიურდი და კალათეფე/.
სამარხი ქვევრის ვერტიკალური მდგომარეობა შედარებით ადრეულია,
ვიდრე ჰორიზონტალური; დროის გარკვეულ მონაკვეთში ისინი თანაარსე-
ბობენ, შემდეგ კი უპირატესობა ჰორიზანტალურ მდგომარეობას ენიჭება,
მაგრამ ხშირად ჰორიზონტალურად ჩაწვენილი ქვევრსამარხის გვერდით აღ-
მოჩენილია ვერტიკალურად ჩაშვებულის ზომის ქვევრები, რომლებშიც
ცალკეულ შემთხვევებში სამარხეული ინვენტარის ნაწილიც კი გვხვდება
/ნოქალაქევი, სამთავრო, ნასტაკისი, ყოლოთო, გარნისი, უზეირკენდი/.
შესაძლოა, ამგვარად მოწყობილი სამარხით, ჭირისუფალი მიცვალებულს სა-
თადარიგო, განსხვავებული წესით მომზადებულ სამარხს ჭურჭელსაც აც-
არდა საიქიოში, რაც, როგორც ჩანს, იმდროინდელ რელიგიურ წარმოდგე-
ნებს ასახავდა.

ბავშვები, როგორც წესი, და, ალბათ, ბუნებრივად, შედარე-
ბით მცირე ზომის ჭურჭელში /დერგებში, ჩაფებში/ იკრძალებოდნენ;
ხშირად ასეთი სამარხები შენობების იატაკის ქვეშ არის ჩაშვებული
/სევანის აუზი, არგიშთიჰინილი, უფლისციხე/.

ამიერკავკასიის ქვევრსამარხების დამხრობაში კანონზომიერე-
ბა არ ჩანს. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ქვევრსამარხებისათ-
ვის დაკრძალვის ადათ-წესებში სამარხის ორიენტაციას, როგორც ჩანს,
დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ხშირად ქვევრსამარხისთვის სპეცი-

ალურად გათხრილ ორმოში საწესო ცეცხლის კვალი დასტურდება.

მიცვალებულები ქვევრსამარხში, როგორც წესი, ხელფეხმოკეცილი პოზაში იკრძალებოდა, რაც ადრე გავრცელებული წესია და ქვევრის მოცულობითაა ნაკარნახევი[196]. ორი ქვევრისაგან შედგენილ სამარხებში მიცვალებულები გაშოტილები იკრძალებოდნენ. ესეც ბუნებრივია, რადგან ორი ქვევრის შეერთება ამის საშუალებას იძლეოდა.

სამარხებად გამოყენებულია ჩვეულებრივ სამეურნეო, მაგრამ მწყობრიდან გამოსული ქვევრები. თუმცა არის შემთხვევები საგანგებოდ დამზადებული სამარხ-ქვევრების აღმოჩენისა.

ქვევრს პირზე აფარებდნენ ბრტყელ ქვას, ქვიშაქვის ფილას, კრამიტს, თიხის ჭურჭლის ნატეხს, ამფორის ძირს.

სამარხისათვის განკუთვნილი ინვენტარი ლაგდებოდა როგორც ქვევრის შიგნით, ასევე მის გარეთაც. ინვენტარი ძირითადად შედგებოდა თიხის ჭურჭლის, ლითონის სამკაულების, მძივების, მონეტებისაგან.

მონეტების – მიცვალებულისათვის ჩატანების წესი დიდხანს შემორჩა.

ქვევრსამარხებში დაკრძალულთა შორის, ინვენტარის მიხედვით, მკვეთრი ქონებრივი და იქნებ უფლებრივი უთანასწორობა შეინიშნება.

ამიერკავკასიაში ქვევრსამარხები გავრცელებული ჩანს ძვ. წ. VIII საუკუნიდან /არგიშთიჰინილი/ ახ. წ. VIII საუკუნემდე /შემახა, არაბჯაბირლი/. ცალკე რეგიონების მიხედვით, ასეთი სურათია: სომხეთში – ძვ. წ. VIII /არგიშთიჰინილი/ ახ. წ. IV სს. /ზვართნოცი/; საქართველოში – ადრეელინისტური ხანიდან /თეთრიწყარო, ციხია-გორა/ ახ. წ. III-IV სს. /ცავერი, სხვავა/; აზერბაიჯანში – ძვ. წ. IV-III /ყარაყობარი /ახ. წ. VIII სს. /მერგიახი, არაბჯაბირლი/.

---

196. ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბ., 1963, გვ. 86-87.

ქვევრსამარხების წარმომავლობის და გავრცელების შესახებ აზრთა სხვაობაა; მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქვევრში დაკრძალვის წესი დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელდა, აქედან კი აზერბაიჯანსა და სომხეთში გადავიდა[197]. მეორე ნაწილი თვლის, რომ ქვევრსამარხები აზერბაიჯანიდან სომხეთში გავრცელდა და შემდეგ სომხეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში[198]. უკანასკნელ წლებში გამოითქვა კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქვევრსამარხები სომხეთში შევიდა შუამდინარეთიდან ჯერ კიდევ ურარტულ ხანაში[199]. ეს თვალსაზრისები დაფუძნებული იყო ქვევრსამარხთა შესწავლილობის სხვადასხვა საფეხურზე. ახლა ვითარება სხვაგვარია. უკვე ვართ ინფორმირებული მთლიანად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ქვევრსამარხების გავრცელების შესახებ როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ჭრილში.

პითოსებში დაკრძალვის ოდინდელი წესი უდევს, როგორც ჩანს, საფუძვლად ქვევრსამარხთა შემოსვლას ამიერკავკასიაში. ცხადია, ადრინდელი ცივილიზაციის ამ ელემენტმა თავისებური ასახვა ჰპოვა აზერბაიჯანში /იქ კიუპების გამოყენება დაიწყეს/, საქართველოში /აქ ქვევრი - ჭური გამოიყენეს სამარხებად /და სომხეთში/ იქ კარასებია სამარხებად გამოყენებული/.

ამრიგად, აზერბაიჯანული კიუპი, სომხური კარასი და ქართული ქვევრი /ჭური/ თავისებური სახეებია სამეურნეო დანიშნულების თიხის დიდ ჭურჭელში დაკრძალვისა.

---

197. Б.А.Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т.П, Тб. I950, с. 78.

I98. С.М.Казиев. Альбом кувшинных погребений Мингечаури. Баку, I960, с. I8.

I99. Ж.Д.Хачатрян. Гарни У. Ереван, I976, с. 28.

ქვევრსამარხთა გაქრობა სომხეთსა და საქართველოში უკავშირდება ცვლილებებს იდეოლოგიურ სფეროში, რაც გამოიხატა ქრისტიანობის შემოჭრამ და გავრცელებამ, ხოლო აზერბაიჯანში ისლამის მოსვლამ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქვევრსამარხები /კარასსამარხი, კიუპსამარხი/ 16-ოდე საუკუნის მანძილზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოიყენებოდა ამიერკავკასიაში, ამასთანავე, უძველესი მათგანი ძვ.წ. VIII საუკუნისაა /არგიშთიხინილი/, ხოლო - ყველაზე ახალგაზრდა ახ.წ. VIII საუკუნისა /შემახა, არაბკაბირლი/. სამარხად გამოყენებული თიხის დიდი ჭურჭლების ნაირსახეობა /კარასი, კიუპი, ქვევრი/ უნდა მივიჩნიოთ იმის მაჩვენებლად, რომ დაკრძალვის ამ წესს შეესაბამა ადგილობრივი ვითარება და ადგილობრივმა თიხის ჭურჭელმა შეასრულა სამარხის როლი, ე.ი. სამარხთა ამ სახეობაში გამოხატულება ჰპოვა ადგილობრივმა მეურნეობრივმა სახემ, როგორც ვარაუდობენ - მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებამ. შესაბამისად, დაკრძალვის ამ კონკრეტული სახეობის ადგილობრივი საფუძვლები ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

## შინაარსი

ქვევრსამარხები საქართველოში .................. 3

ქვევრსამარხები დასავლეთ საქართველოში ............ 5

ქვევრსამარხები აღმოსავლეთ საქართველოში .......... 34

ქვევრსამარხები სომხეთში ....................... 49

ქვევრსამარხები აზერბაიჯანში .................. 55

Нонешвили Александр Иосифович
Кувшинные погребения
в Закавказье

(На грузинском языке)
Издательство "Сабчота Сакартвело"
Тбилиси, Марджанишвили, 5
1983

რედაქტორი მ.გიორგობიანი

მხატვრული რედაქტორი კ.ტევზაძე

ტექნიკური რედაქტორი ზ.გვიმრაძე

გამომშვები მ.ნიჟნიკაძე

გადაეცა წარმოებას 01.09.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 2/IX-83 წ.
საბეჭდი ქაღალდი №2 60X84 1/16 ფიზ. საბ.ფურც. 3,85. გარნიტურა ვენა.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 3,17 ბეჭდვის ხერხი მაღალი.
ტირაჟი 600 შეკვ. №2250 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,83

უე 00441

ფასი 10 კაპ.

გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика, пр. Дружбы № 7